ახალი გაზეთობა

27.02-04.03.2020

№6 (880) გაზეთის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge



1921 — Установление Советской власти в Грузии.

ФЕВРАЛЬ СУББОТА

Восх. 7.32
Зах. 17.54
Долгота дня 10.22
—56

25

1917 1978

Полнолуние 23 февраля
Зах. 8.10
Восх. 21.01
+309

25 თებერვალს მე ვიგრძენი, თუ როგორ შემოვიდა ტანში მჭრელი მახვილი, რომელიც მას აქეთ დღითიდღე უფრო ღრმად მერჭობა. გაფითრებული ვარ და ტანში მუდმივი ჟრჟოლა მივლის. ეხლა სატევრის წვერი ზედ გულზე მაქვს დაბჯენილი და ვგრძნობ, ოდნავ რომ შევინძრე, ჩამესობა და ისე გამათავებს, რომ გმინვის ამოღებასაც ვეღარ მოვასწრებ.

USAID საქართველო

ჩვენს ინტერესებში შედის საქართველოს დემოკრატიული განვითარება

აშშ-სა და საქართველოს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში, ამერიკული მხარე 7 000 000 დოლარის ღირებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას იწყებს, რომელიც გულისხმობს საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში წიგნიერების, მათემატიკური აზროვნების, პრობლემის გადაწყვეტისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას, ასევე, საუნივერსიტეტო დონეზე ისეთი პროგრამების ხელშეწყობას, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფს სკოლებში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. მხარეები შეთანხმდნენ, რომ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტექნიკურ დახმარებას გაუწევს მთავრობის მიერ პრიორიტეტად გამოცხადებული საგანმანათლებლო კომპლექსური რეფორმების პროცესში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მდგრადი, ინკლუზიური და მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება საქართველოს საჯარო სკოლების დაწყებით საფეხურზე. ერთობლივი ქართულ-ამერიკული პროგრამა, განათლების ხარისხის ასამაღლებლად, მასწავლებელთა გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებასაც ითვალისწინებს.

USAID-ის საქართველოს მისიის დირექტორი **პიტერ ვიბლერი** პროგრამის მთავარ მახასიათებლებზე საუბრისას, აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია, მოვიდნენ ახალი მასწავლებლები, რომლებიც ყურადღებას გაამახვილებენ მოსწავლეების საჭიროებებზე და არა ძველ სტილზე, რომელიც გაკვეთილის წაკითხვას, წერისა და დაზეპირების დავალებებს მოიცავდა. *„ქვეყნის მასშტაბით, 8 უნივერსიტეტთან პარტნიორობით, გარდავქმნით მასწავლებელთა გადამზადების მეთოდს, ხელს შევუწყობთ მთავრობის პრიორიტეტიზაციას, შეიქმნას წამახალისებელი მექანიზმები, რომლებიც მოიზიდავს ახალგაზრდებს, გახდნენ მასწავლებლები. წარსულში გარკვეული მიზეზები იყო, რის გამოც მასწავლებლის კარიერის არჩევა, კონკურენტული ეკონომიკის პირობებში, სასურველი არ იყო. ჩვენ შევეცდებით, მხარი დავუჭიროთ რეფორმებს, რითაც მასწავლებლის პროფესიას მიმზიდველს გავხდით, ასევე, დავეხმარებით განათლების სამინისტროს, გამოავლინოს პრობლემები და ხელი შეუწყოს განათლების პოლიტიკის რეფორმებს, მთელი სისტემის მასშტაბით, რაც, საერთო ჯამში, აამაღლებს განათლების ხარისხს საბაზო დონეზე. სწორედ ამიტომ არის ჩვენი პროგრამის სახელწოდება „USAID – საბაზო განათლების პროგრამა“, ჩვენი პროგრამა დაწყებითი საფეხურის პედაგოგებზე გაამახვილებს ყურადღებას. ჩვენს ინტერესებში შედის საქართველოს ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარება.*

განათლების რეფორმის მნიშვნელობას საქართველოში არა მხოლოდ USAID, არამედ ამერიკის შეერთებული შტატებიც აღიარებს. ვიმედოვნებ, რომ უამრავმა ქართველმა იცის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის 5-წლიანი პროგრამა, რომელიც ახლახან დაასრულა და რომელიც ხელს უწყობდა საქართველოს საგანმანათლებლო წინსვლას სხვადასხვა სფეროში. აშშ აცნობიერებს და აღიარებს ამ რეფორმების მნიშვნელობას.“

საქართველოში განათლების ხარისხი მიმდინარე რეფორმის პრიორიტეტად სახელდება, მიუხედავად ამისა, მაინც ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება. ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე საუბრისას, პიტერ ვიბლერი აღნიშნავს, რომ ქართული განათლების სისტემის ფუნდამენტურ გამოწვევას წარმოადგენს ძველი სისტემიდან მოსწავლეზე ორიენტირებულ სისტემაზე გადასვლა.

მასშტაბურ პროგრამას, რა თქმა უნდა, შესაბამისი ადამიანური რესურსიც სჭირდება. *„რესურსი საკმარისი არასოდესაა, არც ამერიკაში გვაქვს საკმარისი. წელიწად-ნახევარია, რაც აქ ვცხოვრობ და ვფიქრობ, რომ საქართველოს ადამიანური კაპიტალი ამ ქვეყნის უდიდესი აქტივია. ვგულისხმობ, მთელი ქვეყნის მასშტაბით და არა მხოლოდ თბილისში. ადამიანური კაპიტალი არსებობს და საჭიროებს გაღვივებას, ზრდა-განვითარებას ისე, რომ შეიქმნას კრიტიკულად მოაზროვნე სტუდენტების მასა, რომელთაც ექნებათ პრობლემების გადაჭრისა და მათემატიკური უნარები, შეეძლებათ სხვადასხვა ენაზე კითხვა და საუბარი, რაც შემდგომში ისეთ პროფესიებში აისახება, როგორებიცაა ტექნოლოგია, მათემატიკა, ზოგადად მეცნიერება.“* – აცხადებს პიტერ ვიბლერი.

პროგრამის განხორციელება სხვადასხვა ინსტიტუციების ჩართულობასაც გულისხმობს. USAID-ის საქართველოს მისიის ხელმძღვანელი ამბობს, რომ ახალი პროგრამა არა მხოლოდ განათლების სამინისტროსთან, არამედ არაერთ სხვა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების შედეგად შეიქმნა. *„ფართო მასშტაბის კონსულტაციები გავიარეთ, რათა დაგვედგინა საჭიროებები და სამიზნედ ის სფეროები აგვეღო, რომელზეც ცვლილებების განხორციელება შეგვიძლია. ჩვენ აქტიურად ჩავრთეთ სამინისტროს წარმომადგენლობა შესყიდვისა და იმ პარტნიორის შერჩევის პროცესში, რომელიც პრაქტიკულად განახორციელებს ამ პროგრამას USAID-სთვის. ერთობლივად ვიმუშავეთ პროგრამის შექმნაზე, ზოგადად, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები არა მხოლოდ აშშ-ს, არამედ საქართველოს ბევრი სხვა საერთაშორისო მეგობრის ძალისხმევით ხორციელდება. მოგეხსენებათ, მსოფლიო ბანკმა, წარსულში, დიდი ოდენობის ინვესტიცია ჩადო და კიდევ გეგმავს ახალ, მსხვილ ინვესტიციას განათლებაში, რათა ხელი შეუწყოს მთავრობის რეფორმებს. ვიცი, რომ გერმანიის ხელისუფლება უჭერს მხარს პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას და საგანმანათლებლო რეფორმებს.*

ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, ქართველმა ხალხმა იცოდეს, რა მასშტაბის საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს ქვეყანას. მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ განათლება საქართველოს დემოკრატიული განვითარების ღერძია. მოსწავლეებმა იციან თავიანთი უფლებები და პასუხისმგებლობები და შეუძლიათ საქართველოს დემოკრატიის გაძლიერება. სკოლებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ ისეთი ახალგაზრდების გამოშვება, რომელთა უნარებიც საჭიროა საქართველოს თანამედროვე ეკონომიკისთვის. ეს ასევე მნიშვნელოვანია სოციალური ჩართულობისთვის.“

იმ მასშტაბის ცვლილებებს, რასაც საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა ითვალისწინებს, რა თქმა უნდა, გარკვეული დრო სჭირდება. პიტერ ვიბლერის აზრით, საუბარია თაობის ცვლილებაზე. ამ საგანმანათლებლო რეფორმას, ასევე, შეუძლია მოიცვას ეთნიკური უმცირესობები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რათა მეტად იყოს მათთვის ხელმისაწვდომი საქართველოში არსებული ყველა შესაძლებლობა.

„ჩვენი პროგრამა ფორმალურად უკვე დაიწყო. პარტნიორებთან ერთად, გახსნის დიდ ცერემონიას ვგეგმავთ მარტში ან აპრილში. შემდეგ კი, დაიწყება საფუძვლიანი მუშაობა და პროექტის შედეგებს მომდევნო 6 თვესა და ერთ წელიწადში დავაკვირდებით. ამ ეტაპზე, 4-წლიან ძალისხმევაზეა საუბარი, შემდეგ, როგორც USAID-ის სხვა პროგრამების შემთხვევაში, გადავხედავთ როგორ მუშაობს პროგრამა და, ამერიკის მხრიდან სათანადო რესურსების არსებობის შემთხვევაში, სამომავლო ინვესტიციებზე ვიფიქრებთ.“ – ამბობს USAID-ის საქართველოს მისიის ხელმძღვანელი.

მოამზადა **ლალი თვალაბეიშვილმა**

როგორ გავხდე მანდატური

მანდატურობის კანდიდატთა მოსამზადებელი კურსი დაიწყო

შსს-ს აკადემიაში მანდატურობის კანდიდატთა პირველი ნაკადის მოსამზადებელი კურსი დაიწყო. სასწავლო კურსს, განახლებული მოდულის მიხედვით, კონკურსის წესით შერჩეული 40 კანდიდატი გაივლის. აკადემიაში კანდიდატები შეისწავლიან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს, ეფექტურ კომუნიკაციას, ბავშვისა და მოზარდის განვითარების ფსიქოლოგიურ ასპექტებს, კონფლიქტების მართვას და დაეუფლებიან პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის უნარებს. კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ისინი თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებში გადანაწილდებიან.

მანდატურის სამსახურის უფროსმა, **გელა გელაძემ** მომავალ მანდატურებს სწავლის დაწყება მიულოცა და წარმატება უსურვა. *„შინაგან საქმეთა აკადემიაში პირველმა ნაკადმა დაიწყო სწავლა. სწავლება მოიცავს მრავალ კომპონენტს, ვინაიდან ჩვენი მიზანია, გვყავდეს მაღალკვალიფიციური, მომზადებული კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასკოლო უსაფრთხოებას.“* – ამბობს მანდატურის სამსახურის უფროსი.



მანდატურობის კანდიდატების შერჩევის ეტაპები შემდეგია: სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე კონკურსის გამოცხადება; წარდგენილი საკონკურსო განაცხადების გადარჩევა; კანდიდატების შეფასება (გასაუბრება და ფიზიკური მზაობის შემოწმება); მოსამზადებელი კურსების გავლა; სკოლებში მანდატურობის იმ კანდიდატების დანიშვნა, რომლებიც წარმატებით დაასრულებენ მოსამზადებელ კურსებს.

მანდატურობის კანდიდატი, მოსამზადებელი კურსების შეწყვეტის ან/და დაუძლეველობის შემთხვევაში, ასევე მოსამზადებელი კურსების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის აღების შემდგომ, თუ პირი უარს განაცხადებს მანდატურად დანიშვნაზე, ასევე, დანიშვნიდან 1 სასწავლო წლის განმავლობაში, პირადი განცხადების საფუძველზე, მოითხოვს სამსახურიდან განთავისუფლებას, ვალდებულია, მანდატურის სამსახურს აუნაზღაუროს მოსამზადებელი კურსის ღირებულება სრული მოცულობით. კანდიდატი ანაზღაურების ვალდებულებისგან იმ შემთხვევაში თავისუფლდება, თუ ვერ დაძლია ფიზიკური მომზადების კომპონენტი.

მანდატურობის კანდიდატებმა, რომლებიც შეირჩევიან მოსამზადებელი კურსების გასავლელად, სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, უნდა წარმოადგინონ ცნობა ნასამართლობის არქონის შესახებ, რადგან *„საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურად შეიძლება დაინიშნოს ნასამართლობის არმქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი, აქვს სრული ზოგადი განათლება და პროფესიული განათლება ან უმაღლესი განათლება, იცის სახელმწიფო ენა, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად აქვს შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი აქვს კონკურსი და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული მოსამზადებელი კურსები. აღნიშნული კურსები, სწავლების სხვა კომპონენტებთან ერთად, ითვალისწინებს მოსწავლის/სტუდენტის ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებებს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის პროფესიულ ვალდებულებებსა და ღირებულებებს, ფიზიკური მომზადებისა და პრაქტიკულ კომპონენტებს“* – ვკითხულობთ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ვებგვერდზე – „როგორ გავხდე მანდატური“.

გაფართოების გეგმის თანახმად, მიმდინარე წელს, გასული წლის მსგავსად, იზრდება იმ სკოლების რაოდენობა, სადაც მანდატურის სამსახურია შესული, წელს ასეთი კიდევ 130 საჯარო სკოლა იქნება. ამჟამად, მანდატურის სამსახური უკვე წარმოდგენილია, საქართველოს მასშტაბით, 596 საჯარო სკოლაში და მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 80 პროცენტზე მეტს ფარავს.

გასაბჭოება — 99

კვლავ 25 თებერვალი

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დედაქალაქი 25 თებერვალს, გათენებამდე დატოვეს. რამდენიმე საათში თბილისი მე-11 წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს. როგორც ისტორიკოსი ირაკლი ხვადაგიანი ამბობს, წითლების შემოსვლას ქალაქი შეხვდა ცივად, ინერტულად.

„უმეტესი ნაწილი მოქალაქეებისა დარჩა ქალაქში, არადა დიდი იყო შიში და მოლოდინი იმისა, რომ მე-11 არმია დაიწყებდა ქალაქის დარბევას და ძალადობას. ჩვეულებრივი ამბავი იყო ეს, მოგეხსენებათ, რა რეპუტაცია ჰქონდა წითელ არმიას, რომელიც ომის კანონით ბრძოლით დაკავებულ ქალაქში აკეთებდა იმას, რაც მოესურვებოდა. ქუჩები, როგორც წესი, უკაცრიელი იყო“, – ამბობს ირაკლი ხვადაგიანი.

თბილისელთა პირქუშმა დახვედრამ ხასიათი ვერ გაუფუჭა ქართველი ბოლშევიკების ჯგუფს. 25 თებერვალს სერგო ორჯონიკიძე რუსეთში გზავნის ელვა-ტელეგრამას:

„მოსკოვი, კრემლი. ლენინს, სტალინს. თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

თუმცა, ტელეგრამის მთავარი ადრესატები არ შეიმჩნევენ სიხარულს. 27 თებერვალს მოსკოვის საბჭოს პლენარულ სხდომაზე ლენინი იტყვის, შეუმოწმებელი ინფორმაციით ტფილისში საბჭოთა მმართველობა დამყარდა და რუსეთი ფსონს საქართველოს პროლეტარიატზე დებსო.

ნიშანდობლივია ის, რომ რევკომმა დაიკავა ქალაქის თვითმმართველობის – ქალაქის საბჭოს შენობა და არა მთავრობისა და დამფუძნებელი კრების სასახლე. ირაკლი ხვადაგიანი ამ ფაქტს ასეთ ახსნას უძებნის: 1. ომი ჯერ არ იყო დასრულებული და რევკომს ჰქონდა გარკვეული კომპრომისებისა და ვაჭრობის მოლოდინი, რის გამოც არ ჩქარობდა დამფუძნებელი კრების შენობისა და ადგილის დაკავებას. 2. რევკომმა, როგორც საბჭოთა ხელისუფლების ნაწილმა დაიკავა საბჭოს შენობა და არა დამფუძნებელი კრებისა, რომელიც მიუღებელი და საძულველი სიტყვა იყო ბოლშევიკებისათვის.

ასევე ნიშანდობლივია, რომ საქართველოს რევკომმა მალევე გამოსცა პირველი ბრძანება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა საქართველოს საგანგებო კომისია – „ჩეკა“, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა გიორგი ელისაბედაშვილი, ახალი თაობის ბოლშევიკი, თუმცა ის არასრულ ერთ თვეში შეცვალა გამოცდილმა ბოლშევიკმა კოტე ცინცაძემ.

ისტორიკოს ერიკ ლის თქმით, წითელმა არმიამ და „ჩეკამ“ მალევე უჩვენეს ყველას, თუ ვის ეკუთვნოდა მართვის სადავეები საქართველოში. რეჟიმი ძალიან სწრაფად გადაიქცა რეპრესიულ მანქანად, მაგრამ ქართველები, როგორც მეცნიერი შენიშნავს, დაუოკებელნი იყვნენ დამოუკიდებლობის სურვილში და კიდევ დიდხანს უჭერდნენ მხარს თავიანთ არჩეულ ლიდერებს, რომელთა პოპულარობა პირადად იწვნია სტალინმა 1921 წლის ივლისში, როცა ნაძალადევის თეატრში შეკრებილ 5 ათას მუშას მენშევიკების უღლის გადაგდება მიულოცა. მსმენელმა სტალინის გამოსვლას ყვირილი და შეძახილები მიაგება: „ტყუილია! აქ არ ყოფილა მენშევიკური უღელი! საქართველოში კომუნისტური რევოლუცია არ მომხდარა! თქვენმა ჯარმა თავისუფლება წაგვართვა!“

1921 წელსვე ბოლშევიკებმა აკრძალეს ანტიბოლშევიკური პარტიების პოლიტიკურ საქმიანობა და მათი პრესის ორგანოების გამოცემა.

25 თებერვლის შემდეგ

გიორგი კვინიტაძის გადაწყვეტილებამ, დაეტოვებინა თბილისი და მოეხდინა ჯარების გადაჯგუფება მცხეთასთან, სავალალო შედეგი გამოიღო.

„გზადაგზა ჯარისკაცები, ჯერ თითო-თითოდ შემდეგ კი ჯგუფ-ჯგუფად, თავს ანებებდნენ თავის ნაწილებს და თოფებითა და ტყვიისმფრქველებით მიდიოდნენ თავთავიანთ სოფლებში“, – ასე იხსენებდა უკან დახევის დეტალებს გენერალი გიორგი მაზნიაშვილი.

რეალურად ქართულმა ჯარმა ახალი, ბრძოლის გასამართად ვარგისი პოზიციების დაკავება მხოლოდ ხაშურთან შეძლო. გიორგი კვინიტაძე ჯერ კიდევ არ ჰკარგავდა მტრის მოგერიებისა და კონტრშეტევაზე გადასვლის იმედს, თუმცა ხაშურთან თავი იჩინა არმიისა და სახალხო გვარდიის ხელმძღვანელობებს შორის კოორდინაციის პრობლემამ. გენერალური შტაბის ოფიცრის ვალიკო თევზაძის მოგონებების მიხედვით, გენერალმა კონიაშვილმა სთხოვა მას მოეხსენებინა კვინიტაძისათვის, რომ ***„გვარდიელებმა დაადგინეს არ შეუტიონ მტერს, შტაბი და ჯარი იშლება და მათზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება არა მაქვსო“.***

„აბა, თევზაძე, თავის მოკვლაღა დამრჩენია, არა?“ – უთქვამს გიორგი კვინიტაძეს შტაბის ოფიცრისათვის.

ამასობაში თურქეთმა ბათუმის, ახალქალაქისა და ახალციხის ოლქებზე განაცხადა პრეტენზია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს ბათუმიდან ქემალისტების განდევნისათვისაც მოუწიათ ბრძოლა.

8 მარტს საქართველოს რევკომმა საქართველოს მთავრობას სამხედრო ოპერაციის დასრულება, საბჭოთა რეჟიმის ცნობა და კოალიციური მთავრობის შექმნაზე დისკუსიის დაწყება შესთავაზა. 17 მარტს, როცა შავი ზღვის ვიწრო ზოლის გარდა ყველაფერი დაკარგული ჰქონდა, საქართველოს მთავრობამ თავისი წარმომადგენლები რევკომის დელეგატებთან შესახვედრად გაგზავნა. შეთანხმებას 18 მარტს, ქუთაისში მოეწერა ხელი, თუმცა როგორც ისტორიკოსი ირაკლი ხვადაგიანი ამბობს, რევკომმა ვერ მიაღწია სასურველ მიზანს, ვერ გააფორმა ოკუპაცია შიდა გადატრიალებად და ვერ მოახვია საქართველოს მთავრობას კაპიტულაციის მსგავსი შეთანხმება.

„შედეგად რევკომი იძულებული იყო გამოეცა დეკრეტი, რომლითაც საქართველოს დამფუძნებელი კრება – რესპუბლიკის სრულფასოვანი დემოკრატიული წარმომადგენლობა გამოცხადდა გაუქმებულად. შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკას არ უცვნია ოკუპაცია, არ გადაუბარებია ძალაუფლება არანაირი ფორმით. დამფუძნებელმა კრებამ თავის ბოლო შეკრებაზე ბათუმში დააკომპლექტა მთავრობის ახალი შემადგენლობა, მიანიჭა მას მანდატი, შექმნა გაფართოებული პრეზიდიუმი, რომელიც წავიდა ემიგრაციაში როგორც სრულფასოვანი წარმომადგენელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, რითაც მან ყოველგვარი იურიდიული საფუძველი მოსპო იმისათვის, რომ ეჭვის კითხვები დასმულიყო ოკუპაციის გარშემო, რაც დღემდე გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ლეგალურად (იურიდიულად) არსებობა არასოდეს შეუწყვეტია“, – ამბობს ირაკლი ხვადაგიანი.

რაც შეეხება საქართველოს მიერ განეულ შეიარაღებულ წინააღმდეგობას, რომელიც არ აღმოჩნდა საკმარისი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ისტორიკოსი დიმიტრი სილაქაძე ამბობს, რომ, მიუხედავად ომში დამარცხებისა, საქართველომ უნდა იამაყოს პირველი რესპუბლიკის ჯარისკაცებით.

„უნდა ვიამაყოთ თუნდაც იმიტომ, რომ ხუთი კვირის განმავლობაში ვებრძოდით რუსეთს და უბრძოლველად არ შემოვუშვით, მაშინ, როცა სომხეთმა და აზერბაიჯანმა თითო დღეში დაკარგეს დამოუკიდებლობა. ჩვენ ვებრძოდით 5 კვირის განმავლობაში და ვებრძოდით შეზღუდული რესურსებით – როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური და სამხედრო თვალსაზრისით. თან მოვიგეთ ცალკეული ბრძოლები, გვქონდა კონკრეტული გმირობის მაგალითები, მაგალითი შალვა ერისთავისა, კაპიტან ყიფიანისა, იმერეთის გვარდიის ბატალიონისა, რომელმაც რუსული ტანკები მოიგერია და სხვ. რა თქმა უნდა, საამაყოა მიუხედავად მარცხისა. თან ყველა მარცხი მარცხი არ არის. დარჩა გმირობის ისტორია, რომელიც მომავალი თაობების საბრძოლო სულისკვეთებას ამაღლებს“, – ამბობს დიმიტრი სილაქაძე.

18 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, პოლიტიკური პარტიების მეთაურები და მაღალი ჩინის სამხედროების ნაწილი ბათუმის ნავსადგურიდან ტოვებენ საქართველოს ფრანგული და იტალიური გემებით – „კირალი“, „ვესტა“ და „მარია“.

19 მარტს ბათუმში შედის მე-11 არმიის მე-18 კავალერიული დივიზია. საქართველოს რევკომი და რუსეთის წითელი არმია სრულად აკონტროლებენ საქართველოს ტერიტორიას. შესაბამისად, საქართველო კიდევ ერთხელ გამოცდის საკუთარ თავზე თავისუფლების დაკარგვით გამოწვეულ მანკიერებებს, რომლებიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში აღწერა არჩილ ჯორჯაძემ:

„სადაც არ არის ეროვნული თავისუფლება, იქ ადამიანებს არ შეუძლიათ წინსვლა, იქ ისინი უფრო ეცემიან, ირყვნებიან, მახინჯდებიან გონებით, გლახაკდებიან სულით. იქ არ არის არავითარი მოძრაობა, არავითარი საზოგადოებრივი ცხოვრება, იქ დაბრკოლებულია კაცის განვითარება“.

საქართველოს განვითარება მთელი სამოცდაათი წლით დაბრკოლა რუსეთის საბჭოთა იმპერიამ.

ჯიმშერ რეხვიაშვილი

რადიო თავისუფლება – ყველაფერი „25 თებერვლის“ შესახებ

ՍԱՄՈԴԵԼՈՎ ԳԱԿՎԵՏՈՒԼԻ

Առողջ սնունդն ու նրա նշանակությունը

ԳՈՏԱՅԱԶՈՎԳՈՏ ՍԼՈՒՊ ՀԱԼԱՀ ԱԽԱԼՑԻԽԻՆ №3 ՍԱՖԱՐՈ ՍԿՈԼԻՆ ԴԱՓՂԵԳԻՈՏԻ ԿԼԱՍԻՆ ՈՒՓՐՈՍԻՈ ՊԵԴԱԳՈԳԻՆ, ՎԵՐՈՆԻԿԱ ԱՄԶԱՐԻԱՆԻՆ ՄԻՈՐ ՀԱՓԱՐԵՁՈՒԼԻՈ ԳԱԿՎԵՏՈՒԼԻՆ ԳԵԳՄԱՍ

ԴԱՍԻ ՊԼԱՆ

- **Ուսուցչուհի** – Վերոնիկա Համբարյան
- **Առարկա** – Բնություն
- **Դասարան** – երկրորդ դասարան
- **Աշակերտների քանակը** – 20 աշակերտ
- **Դասի թեման** – Առողջ սնունդն ու նրա նշանակությունը
- **Դասի նպատակը** – Աշակերտը կկարողանա կլասիֆիկացնել սննդամթերքը ըստ օգտավետության:

Դասի թեման և նպատակը նկատի են առնված Ազգային ուսումնական պլանով
Արդյունքը ակնհայտ է, եթե աշակերտը
Տալիս է հարցեր օրգանիզմների զարգացման և աճման անհրաժեշտությունների շուրջ (օր՝ ջուր, սնունդ,կենսամիջավայր)և փնտրում է պատասխանները:
Խնդրում ենք համառոտ մեկնաբանել ինչքանով է նախատեսված դասապլանում կոնկրետ դասարանի առարկայական ծրագրի պահանջները
Ըստ իս սննդի թեմայի քննարկումը նպատակահարմար է երկրորդ դասարանի համար:
Առողջ սնունդն ու նրա կարևորությունը ընդգրկված է առարկայական ծրագրի պահանջներում:Նպատակն էլ համապատասխանում է հասանելիք արդյունքին Աշակերտը կկարողանա կլասիֆիկացնել սննդատեսակները:

№	Աքտիվության նպատակը և մեկնաբանությունը	Օգտագործած մեթոդը/ մեթոդները	Դասի Կազմակերպման ձևը/ձևերը	Ուսուցողական ռեսուրսները	Դասի տևողությունը
1	Նպատակի տեղեկացնումը պարզ լեզվով Անցածի կրկնություն, աշակերտների մոտիվացում	Ուսուցիչ-գրիչ	Դասարանա յին	Ֆլիպչարտ, մառկեռ	5ր.
2	Նպատակը Աշակերտը կկարողանա գուշակել կենդանական և բուսական սսնդատեսակները: Թերթիկին պատկերված է տարբեր տեսակի սնունդ: Աշակերտները պետք է T դիագրամայում տեղավերեն համապատասխան սնունդների տեսակները:	Խմբակավորել	Խմբային	Բացիկ նկարներով T դիագրամա	7ր.
3	Նպատակը Աշակերտը կկարողանա տարանջատել սննդատեսակները ըստ օգտակարության	Խմբակավորել	Խմբային	Բացիկներ, մատիտներ	4ր.
4	Նպատակը Աշակերտը կկարողանա կարծիք կազմել օրգանիզմի համար օգտակար և քիչ օգտակար սննդատեսակների շուրջ:	Հարց-պատասխան	Ֆրոնտալ		4ր.
5	Նպատակը Աշակերտը կկարողանա սննդատեսակը կլասիֆիկանել ըստ օգտավետության Ա.աշակերտները պետք է պաստառի վրա գծված բուրգի մեջ տեղավորեն սննդատեսակի անվանումները ըստ օգտագործման. Ուսուցիչը էկրանին ցույց է տալիս սննդի բուրգի լրացված տարբերակը: Աշակերտները համեմատում են իրենց աշխատանքի հետ:	Կլասիֆի-կացիա	Խմբային	ֆլիպչարտի վրա գծած բուրգ, բացիկներ սննդամթերքների անվանումներով: Համակարգիչ, պրոեքտոր:	10ր.
6	Նպատակը Իեռքբերած գիտելիքի հաստատում/ ամփոփում:	3-2-1	Ֆրոնտալ	Համակարգիչ, պրոեքտոր	6ր.
7	Տնային հանձնարարություն Լրացնելով խաչբառը աշակերտների մոտ կհաստատվի նոր ամփոփած թեման:	Բացատրու-թյուն	Սոսնձվող թերթեր	Բացիկներ	2ր.
8	Աշակերտների կողմից դասի գնահատում: Ամենից շատ որ ակտիվությունը հավանեցին: Ինչպես կգնահատեք ձեր խմբի անդամներին/ ուսուցչուհուն	Դասի գնահատում Փոխգնահա-տում			2ր.

Աշակերտներին գնահատելու համար օգտագործում եմ աղյուսակը,որի առանձին վանդակներում անում եմ համապատասխան նշումներ:

Աշակերտի անուն-ազգանուն	Բուսական և կենդանական սննդի ճիշտ տարբերակման ընդունակությունները	Առողջության համար օգտակար և քիչ օգտակար սննդի խմբավորում	Սննդի բուրգի ճշգրիտ դասավորում
1-ին խումբ			
2-րդ խումբ			
3-րդ խումբ			

www.hairline.ge

ԻՆՖՈՐՄԱՑԻԱ

თსუ-ს მეორე კორპუსის რეაბილიტაცია

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის მასშტაბური რეაბილიტაციის მეორე ეტაპი მიმდინარეობს, რომლის ღირებულება 21,3 მლნ ლარს შეადგენს. **მიხეილ ჩხენკელი**, თსუ-ს რექტორ **გიორგი შარვაშიძესთან** ერთად, სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპის მიმდინარეობის პროცესს გაეცნო.

განათლების მინისტრმა აღნიშნა, რომ სულ მალე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ექნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო სივრცე: *„ამჟამად მიმდინარეობს მეორე კორპუსის რეაბილიტაცია, რომელიც გახლავთ ასევე ისტორიული შენობა და პროექტის მთლიანი ღირებულება გახლავთ 27 მილიონი ლარი. ეს არის ის თანხა, რომელიც მოხმარდება მეორე კორპუსის სრულ რეაბილიტაციას. ეს გახლდათ სახელმწიფოს საჩუქარი უნივერსიტეტისთვის, 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით. პროცესი მიმდინარეობს ძალიან ინტენსიურად, ძალიან კმაყოფილი ვართ პირველი შედეგებით. სულ მალე თსუ-ს ექნება ისეთი მეორე კორპუსი, როგორიც ეკადრება მის ღირსებას, ისტორიას და თანამედროვეობას“.*

შიდა სარემონტო სამუშაოების პირველი ეტაპი 2018 წელს დაიწყო, რომლის განსახორციელებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების და სპორტის სამინისტრომ 5,7 მლნ ლარი გამოყო. პროექტის პირველი ეტაპის ფარგლებში, განხორციელდა შენობის გამაგრების სამუშაოები, შეიცვალა სახურავი და ფანჯრები, გარემონტდა ფასადი, სველი წერტილები და ცენტრალური გათბობის სისტემა.

სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი კი 2019 წელს დაიწყო და 2021 წლისთვის დასრულდება. ამ პერიოდის განმავლობაში, სრულად მოხდება შენობის რეაბილიტაცია, მოეწყობა სახანძრო და გაგრილება-ვენტილაციის სისტემები, ლიფტები. სარემონტო სამუშაოების შემდეგ, მეორე კორპუსი სრულად დააკმაყოფილებს ყველა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს. სულ გარემონტდება 25 000 კვ.მ. ფართობი.

შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისას სასწავლო პროცესი შეუფერხებლად წარიმართება. სალექციო პროცესი თსუ-ს სასწავლო კორპუსებში გადანაწილდება.

თსუ-ს მეორე კორპუსი, 1940 წელს, არქიტექტორ მიხეილ სავიშვილის პროექტით, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შენობის არქიტექტურისა და სტილის გათვალისწინებით, აშენდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დღეს, აკადემიური და კვლევითი დანიშნულების 27 შენობაშია განთავსებული.

უმაღლესი განათლება

სამუშაო შეხვედრა „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ წარმომადგენლებთან

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის, **ნუნუ მიცკევიჩისა და** „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორის, **მაგდა მაღრაძის** სამუშაო შეხვედრა უმაღლესი განათლების მიმართულებით განხორციელებულ პროექტს „სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო 2020“ და სამომავლო გეგმებს შეეხებოდა.

მინისტრის მოადგილემ მადლობა გადაუხადა „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ აღმასრულებელ დირექტორს იმ

მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის, რომლებსაც ფონდი საქართველოში ახორციელებს. მისი თქმით, უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს შედეგზე ორიენტირებული დაფინანსების ახალი მოდელის სრულყოფაზე და ამ პროცესში „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ გამოცდილების გაზიარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

თავის მხრივ, მაგდა მაღრაძემ პროექტის „სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო 2020“ ხუთწლიანი მიღწევები შეაჯამა, რომელიც სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (SDSU), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისაგან შემდგარი კონსორციუმის მიერ, STEM-ის მიმართულებით განხორციელებული საბაკალავრო პროგრამების შედეგად იქნა მიღებული როგორც აკადემიური, ასევე ფინანსური კუთხით.

საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე (ABET – Accreditation Board for Engineering and Technology) საბაკალავრო პროგრამები, რომელთა განხორციელება სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართველოში 2014-2015 სასწავლო წლიდან დაიწყო, შემდეგ მიმართულებებს მოიცავს: ელექტრული ინჟინერია, კომპიუტერული ინჟინერია, ქიმია/ბიოქიმია, კომპიუტერული მეცნიერებები, სამოქალაქო

ინჟინერია და სამშენებლო ინჟინერია. აღნიშნულ პროგრამებზე, 5 ნაკადით ჩარიცხული 780 სტუდენტი ორი უნივერსიტეტის – ქართულ და ამერიკულ დიპლომებს მიიღებენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროგრამის ფარგლებში, სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით, გადამზადდნენ პროფესორ-მასწავლებლები, აშენდა და რეაბილიტირდა საქართველოს უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურა, მათ შორის, შეიქმნა ახალი ლაბორატორიებიც.

უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელი

უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ნუნუ მიცკევიჩმა** სახელმწიფო უნივერსიტეტებისა და მათ დაქვემდებარებაში არსებულ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელებთან ინტენსიური შეხვედრები გამართა, რომელთა მიზანი უმაღლესი განათლების შედეგებზე ორიენტირებული დაფინანსების ახალი მოდელის სრულყოფაა, უნივერსიტეტების სპეციფიკის გათვალისწინებით.

უმაღლესი განათლების რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი შედეგებზე ორიენტირებული დაფინანსების ახალ მოდელში მეცნიერების წილის გაძლიერებაა, რისი დაანგარიშებაც გაზომვადი ინდიკატორებით უნდა მოხდეს. ამიტომაც, მოდელის დახვეწა, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების ჩართულობით, აქტიურად მიმდინარეობს. თავის მხრივ, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გაძლიერება და მეცნიერების ხელშეწყობა სასწავლო პროცესში მის ინტეგრირებას უზრუნველყოფს. შედეგად, უნივერსიტეტები შეძლებენ არა მხოლოდ არსებული ცოდნის გადაცემას, არამედ ახალი ცოდნის შექმნასაც ახალგაზრდების ჩართულობით.

პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისა და წარმატებული სამეცნიერო ჯგუფების გამოვლენის მიზნით, შეხვედრები გაიმართა:

- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და მის დაქვემდებარებაში არსებულ 2 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლებთან;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მის დაქვემდებარებაში არსებულ 17 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლებთან;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, მის დაქვემდებარებაში არსებულ 8 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლებთან;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და მის დაქვემდებარებაში არსებულ 15 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლებთან.

შეხვედრებზე ინსტიტუტებმა საკუთარი სამეცნიერო მიღწევები წარმოადგინეს, ასევე გამოკვეთეს ის საჭიროებები, მათ შორის, ინფრასტრუქტურული მიმართულებით, რაც სრულფასოვანი სამეცნიერო კვლევის წარმართვას შეუწყობს ხელს.

ნუნუ მიცკევიჩმა მეცნიერებს იმის შესახებაც მიაწოდა ინ-

ფორმაცია, რომ სამინისტრო გეგმავს ევროკავშირის მომდევნო ჩარჩო პროგრამის Horizon Europe-ის ამოქმედებას მომზადებული შეხვდეს. მისი თქმით, უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი მექანიზმები, რომლებიც საქართველოს უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მონაწილეობის წარმატების მაჩვენებლის გაუმჯობესებას მნიშვნელოვანად შეუწყობს ხელს.

უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელის სრულყოფის მიზნით, დაიგეგმა მომდევნო შეხვედრები მიზნობრივ ჯგუფებთან. გარდა ამისა, სამუშაო შეხვედრები გაგრძელდება სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებთანაც.

სწავლების ახალი ციფრული პლატფორმა BTU-სგან

ინოვაციური, ჰიბრიდული ტექნოლოგიური პლატფორმა, რომელიც სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს ერგება, ხელს უწყობს ინკლუზიური განათლების პროცესს და არის ჰიპერპერსონალიზირებული. BTU ასისტენტი სტუდენტისა და ლექტორის დამხმარე მესამე რგოლია, რომელიც სხვადასხვა ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების გაერთიანებით, უკვე მომდევნო სემესტრიდან, დაინერგება უნივერსიტეტში. მრავალფეროვანი სასწავლო მოდულები, ქეისები და ამოცანები, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ხმოვანი ასისტენტი, ავატარი, პოდკასტები მსოფლიოს ტექნოლოგიური და ბიზნესტრენდების შესახებ, ხელოვნური ინტელექტი კითხულობს, სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად, ერთ პროგრამულ უზრუნველყოფაში აერთიანებს და სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, დროის მცირე მონაკვეთში, მოცულობითი სასწავლო მასალა აითვისოს.

მეწარმეობა, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ციფრული ტექნოლოგიების პრინციპები, ოპერაციების მართვა და სხვა მოდულები პროგრამაში უკვე ინტეგრირებულია. როგორც უნივერსიტეტში განმარტავენ, BTU ასისტენტი აერთიანებს სასწავლო მასალებს, ქეისებს და ამოცანებს, რომელიც შემუშავებულია თავად უნივერსიტეტის პროფესორების მიერ. პლატფორმაში აგრეთვე შეხვდებით მსოფლიოს მოწინავე ბიზნეს გამოცემებისა და ქეისების ნაკრებს.

„ელექტრონული სასწავლო პლატფორმების მზარდი ინდუსტრია მსოფლიოში განათლების სისტემის რევოლუციას ახდენს. პერსონალურ საჭიროებებზე მორგებული, მარტივი, ინტერაქტიული და ინოვაციური პლატფორმა, რომელიც ჩვენ შევქმენით, მომდევნო სემესტრიდან გაიხსნება BTU-ს სტუდენტებისა და ლექტორებისთვის. ავატარი, ხმოვანი AI აგენტი, პოდკასტები და სხვა მაღალტექნოლოგიური გადაწყვეტილებებით სწავლის პროცესი კიდევ უფრო დინამიური და საინტერესო გახდება,“ – განმარტავენ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში.

BTU ასისტენტი უკვე მრავალ მოდულს აერთიანებს მეწარმეობის, ბიზნესის და ტექნოლოგიების მიმართულებით, მათი რაოდენობა ყოველთვიურად იზრდება. პლატფორმის გამოყენება შესაძლებელია როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო მიზნებით, ასევე ტრენინგების ახალი მეთოდით ჩასატარებლად.



გარე დაკვირვების გაკვეთილი

როგორ მიიღება მჟავა

მასწავლებლის სახელი, გვარი: ნანა ლომაძე
საგანი: ქიმია
სწავლების საფეხური/კლასი: საბაზო/IX
მოსწავლეთა რაოდენობა: 15, სსსმ მოსწავლე კლასში არ არის
გაკვეთილის თემა: როგორ მიიღება მჟავა
გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე შეძლებს:
- გამოსახოს ქიმიური ტოლობით მჟავას მიღების რეაქცია. გამოიტანოს დასკვნა მჟავას მიღების ხერხების შესახებ;
- განასხვაოს მიმოცვლის რეაქცია სხვა ტიპის რეაქციისაგან.

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:
მჟავას მიღების ხერხების შესწავლით მოსწავლე შეძლებს მარტივ ექსპერიმენტზე დაკვირვებას, ცდის შედეგის გაანალიზებას, მტკიცებულებაზე დაფუძნებულ არგუმენტირებულ მსჯელობას, დასკვნის გამოტანას და სხვადასხვა ხერხით წარმოდგენას, ინსტრუქციის მიხედვით მუშაობას, დროის ლიმიტის დაცვას და ა.შ.
თემა შესაბამისობაშია სასწავლო წლის მოცემულ პერიოდთან.

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:
ქიმ. IX .2. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს კვლევითი პროცედურის განხორციელება/მონაცემების აღრიცხვა.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- აწარმოებს დაკვირვებას, აღრიცხავს მონაცემებს;

ქიმ. IX .4. მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა ანალიზი და შეფასება.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- აანალიზებს მონაცემებს, გამოიტანს დასკვნას;
- ადარებს დასკვნებს გამოთქმულ ვარაუდს.

ქიმ. IX .5. მოსწავლეს შეუძლია მეტალთა და არამეტალთა თვისებების კვლევა.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- იყენებს მიღებულ ცოდნასა და გამოთქვამს ვარაუდს უცნობი მჟავისა და უცნობი ფუძის ურთიერთქმედების პროდუქტების შესახებ.

№	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები (დაასაბუთეთ შინაარსობრივი რესურსების მიზანშეწონილობა სასწავლო მიზანთან მიმართებით)	დრო (წთ)
1	➢ საორგანიზაციო საკითხების მოგვარება; ➢ გაკვეთილის თემის, მიზნის, შეფასების რუბრიკების გაცნობა (დანართი).	პრეზენტაცია, ვერბალური ახსნა	საერთო საკლასო	საკლასო ჟურნალი, კალამი, შეფასების რუბრიკები	3წთ
2	**წინარე ცოდნის გააქტიურება** **აქტივობის მიზანი:** საშინაო დავალების შემოწმებით წინარე ცოდნის გააქტიურება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი, საშინაო დავალების შემოწმების პარალელურად, ააქტიურებს წინარე ცოდნას. სვამს კითხვებს. ასახსნელი საკითხით დაინტერესების მიზნით, კლასს წარუდგენს თვისებით ამოცანას.	გონებრივი იერიში	საერთო საკლასო	დაფა, ცარცი, კომპიუტერი, პროექტორი, სლაიდშოუ „მჟავას მიღება“ მოსწავლეებს სლაიდშოუ მოსმენილი ინფორმაციის უკეთ აღქმაში დაეხმარება.	5წთ
3	**ახალი ცოდნის კონსტრუირება** **აქტივობის მიზანი:** მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეებმა, არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით, მოახდინონ ახალი ცოდნის კონსტრუირება. **აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები, თვისებით ამოცანაზე მოცემულ კითხვებზე პასუხებით, მიდიან დასკვნამდე, რომ უჟანგბადო მჟავა მიიღება მარტივი ნივთიერების წყალბადთან ურთიერთქმედებით, ხოლო ჟანგბადიანი მჟავა – მჟავა ოქსიდის წყალთან ურთიერთქმედებით და ადგენენ შესაბამისი რეაქციის ტოლობებს.	არგუმენტირებული მსჯელობა, კითხვა-პასუხი	საერთო საკლასო	კომპიუტერი, პროექტორი, სლაიდშოუ „მჟავას მიღება“, დაფა, ცარცი, რვეული, კალამი მოსწავლეები შეძლებენ: მსჯელობას, კონკრეტული რეაქციის ტოლობების შედგენას.	5წთ
4	გრძელდება **ახალ მასალაზე მუშაობა**. მოსწავლეები, არგუმენტირებული მსჯელობით, ასკვნიან, რომ სილიციუმმჟავას მიღება სილიციუმის ოქსიდის წყალში გახსნით არ შეიძლება. ისინი ეცნობიან მჟავას მიღების არაპირდაპირ ხერხს. განიხილავენ მიმოცვლის რეაქციის ბოლომდე მიმდინარეობის ერთ-ერთ პირობას (ნალექის წარმოქმნას).	არგუმენტირებული მსჯელობა, მინი-ლექცია	საერთო საკლასო	კომპიუტერი, პროექტორი, სლაიდშოუ „მჟავას მიღება“ მოსწავლეები, არგუმენტირებული მსჯელობით, გამოიტანენ დასკვნას.	5წთ
5	**ახალი მასალის ახსნა** გრძელდება. მოსწავლეები დაფაზე ადგენენ ნატრიუმის კარბონატზე მარილმჟავას ურთიერთქმედების რეაქციის ტოლობას. ერთ-ერთი მოსწავლე ატარებს სადემონსტრაციო ცდას (ნატრიუმის კარბონატზე მარილმჟავას მოქმედება). მოსწავლეები მათ მიერ შედგენილ რეაქციის ტოლობას და ცდის შედეგს ადარებენ ერთმანეთს, აკეთებენ დასკვნას. მასწავლებელი, ცდის შედეგზე დაყრდნობით, ხსნის მიმოცვლის რეაქციის ბოლომდე მიმდინარეობის კიდევ ერთ პირობას (აირის ან აქროლადი ნივთიერების წარმოქმნას). აკეთებენ რეაქციის ტოლობის შესაბამის ჩანაწერს. განხილულ რეაქციებზე დაყრდნობით, მოსწავლეები აკეთებენ დასკვნას: მიმოცვლის რეაქციის ბოლომდე მიმდინარეობის პირობების შესახებ.	კითხვა-პასუხი, ექსპერიმენტი, ინტერაქტიული ლექცია	საერთო საკლასო	სახელმძღვანელო – ქიმია IX, ავტ: მ. ვარდიაშვილი, გამომცემლობა „ინტელექტი“ დაფა, ცარცი, ნატრიუმის კარბონატი, მარილმჟავა, ხელთათმანი, სათვალე, წინსაფარი, ქიმიური ჭიქა, კომპიუტერი, პროექტორი, სლაიდშოუ „მჟავას მიღება“ მოსწავლეები შეძლებენ: უსაფრთხოების წესების დაცვით ცდის ჩატარებას, თეორიული და ცდის შედეგების შედარებას, დასკვნის გამოტანას.	7წთ
6.1	**ახსნილი მასალის განმტკიცება** **აქტივობის მიზანი:** განასხვაოს მიმოცვლის რეაქცია სხვა ტიპის რეაქციისაგან. **აქტივობის აღწერა:** მოსწავლეებმა სლაიდზე უნდა ამოიცნონ მიმოცვლის რეაქციები სხვა ტიპის რეაქციებიდან და მოათავსონ კოლბაში.	„სწავლა თამაშით“	საერთო საკლასო	კომპიუტერი, პროექტორი, სლაიდშოუ მოსწავლეები, სლაიდშოუს საშუალებით, ხალისიანად ჩაერთვებიან გაკვეთილში.	2წთ
6.2	**აქტივობის მიზანი:** ქიმიური ტოლობით გამოსახონ მჟავას მიღების რეაქცია და ამოიცნონ მჟავას მიღების ხერხი. **აქტივობის აღწერა:** ჯგუფები (3 ჯგუფი) თვითონ ირჩევენ შესასრულებელ დავალებებს (3 დავალება) (დანართი 1). ფლიპჩარტზე ადგენენ შესაბამისი რეაქციის ტოლობებს, უთითებენ მჟავას მიღების ხერხს. ჯგუფები წარმოადგენენ დავალებას და შეაფასებენ ერთმანეთს „შუქნიშნის“ პრინციპით.	თანამშრომლობითი სწავლება, ვიზუალური თვალსაჩინოების გამოყენებით	ჯგუფური სამუშაო	დაბეჭდილი დავალებები (დანართი 1) ფლიპჩარტი, მარკერი, მაგნიტები, წითელი, ყვითელი და მწვანე ფერის ფურცლები მოსწავლეები შეძლებენ ცოდნის გაზიარებას, სხვისი აზრის მოსმენას, გათვალისწინებას.	10წთ
7	**შეჯამება** **აქტივობის მიზანი:** მოსწავლემ შეძლოს მიღებული ცოდნის გამთლიანება. **აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები სქემით წარმოადგენენ ჟანგბადიანი და უჟანგბადო მჟავების მიღების ხერხებს შორის მსგავსება-განსხვავებებს.	ინფორმაციის ორგანიზება სქემით. კითხვა-პასუხი	საერთო საკლასო	სქემა „შედარება“, მარკერი მოსწავლეებს განუვითარდებათ მეტაკოგნიტური უნარები.	2წთ
8	**შეფასება** შეფასება ხდება „ემოციის სმაილიკებით“ და განმავითარებელი, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით.	ვერბალური საუბარი, დაკვირვება, კომენტარი	საერთო საკლასო	სლაიდშოუ „მჟავას მიღება“, შეფასების რუბრიკები	3წთ
9	**საშინაო დავალება** გაკვეთილი – § 3.5, გვ 80-81	ინსტრუქტაჟი	საერთო საკლასო	სახელმძღვანელო – ქიმია IX კლ. მ. ვარდიაშვილი	1წთ
10	**გასასვლელი ბილეთის შევსება**	გასასვლელი ბილეთი	ინდივიდუალური სამუშაო	გასასვლელი ბილეთი	2წთ

გარე დაკვირვების გაკვეთილი

დანართ 1.



განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	1-2	3-4	5-6	7-8	9-10
განასხვავოს მიმოცვლის რეაქცია სხვა ტიპის რეაქციისაგან	ვერ განასხვავებს მიმოცვლის რეაქციებს სხვა ტიპის რეაქციებისაგან.	დამოუკიდებლად ვერ განასხვავებს მიმოცვლის რეაქციებს სხვა ტიპის რეაქციებისაგან.	მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ამოიცნობს მიმოცვლის რეაქციებს.	განასხვავებს მიმოცვლის რეაქციებს სხვა ტიპის რეაქციებისაგან, მაგრამ ვერ ასაბუთებს პასუხს.	ნებისმიერ შემთხვევაში განასხვავებს მიმოცვლის რეაქციებს სხვა ტიპის რეაქციებისაგან, ასაბუთებს პასუხს.
გამოსახოს ქიმიური ტოლობით მჟავას მიღების რეაქცია	ქიმიური სიმბოლოებით ვერ გამოსახავს მჟავას მიღების რეაქციის ტოლობებს.	წერს მხოლოდ საწყის რეაგენტებს, ვერ ასრულებს რეაქციის ტოლობებს.	ქიმიური სიმბოლოებით ვერ გამოსახავს დამოუკიდებლად მჟავას მიღების რეაქციის ტოლობებს.	ქიმიური სიმბოლოებით მჟავას მიღების რეაქციის ტოლობების შედგენისას უშვებს 1-2 უმნიშვნელო შეცდომას.	ქიმიური სიმბოლოებით დამოუკიდებლად გამოსახავს მჟავას მიღების რეაქციის ნებისმიერ ტოლობას.

ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსია

გაკვეთილის მიზანი იყო, მოსწავლეებს:

- მოეხდინათ ქიმიური ტოლობით მჟავას მიღების რეაქციების გამოსახვა და გამოეტანათ დასკვნა მჟავას მიღების ხერხების შესახებ;
- მიმოცვლის რეაქცია განესხვავებინათ სხვა ტიპის რეაქციისაგან.

მოსწავლეებისთვის ზეპირად მიწოდებული ინფორმაცია რომ ადვილად აღსაქმელი ყოფილიყო, გამოვიყენე ჩემ მიერ შექმნილი სლაიდშოუ „მჟავების მიღება“. გაკვეთილზე დასახული მიზნების მისაღწევად კი, გამოვიყენე ბრუნერის „აღმოჩენებით სწავლა“. არსებული ცოდნის გააქტიურება მოხდა გონებრივი იერიშით. მოსწავლეებს, მოტივაციის გაზრდის მიზნით, ვესაუბრე მჟავების ყოფაცხოვრებაში გამოყენების შესახებ, ამ აქტივობით მათ თვალნათლივ დაინახეს კავშირი ქიმიასა და ყოფაცხოვრებას შორის.

მაპროვოცირებელი კითხვით (თვისებითი ამოცანა) მოსწავლეებმა მოახდინეს შესასწავლი საკითხისადმი ყურადღების კონცენტრირება. დასმული კითხვის საშუალებით, მოსწავლეებს მივეცი შესაძლებლობა, თავად აღმოეჩინათ მჟავას მიღების პირდაპირი ხერხები და შეედგინათ შესაბამისი რეაქციის ტოლობები. მეც და მოსწავლეებიც აქტიურად ვიყავით ჩართული დიალოგში, რომლითაც მოსწავლეებმა, „სპირალური პრინციპით“, თანდათანობით, გაიმდიდრეს ცოდნა.

ახსნილი მასალის განმტკიცების მიზნით, მოსწავლეებს შევთავაზე სახალისო აქტივობა „სწავლა თამაშით“. შემდეგ ეტაპზე გამოვიყენე თანამშრომლობითი (ჯგუფური სამუშაო) სწავლება. პრეზენტაციისას ჯგუფებმა ერთმანეთი „შუქნიშნის“ პრინციპით შეაფასეს, რამაც კიდევ უფრო მეტი ხალისი შესძინა გაკვეთილს.

გაკვეთილის შეჯამების მიზნით, გამოვიყენე სქემა „შედარება“.

ყველა აქტივობის ბოლოს ვაძლევდი ზუსტ განმავითარებელ შეფასებებს, ხოლო დასკვნით ეტაპზე შევაფასე განმსაზღვრელი შეფასებით.

გაკვეთილის ბოლოს გამოვიყენე გასასვლელი ბილეთი, რომელიც ემსახურებოდა მოსწავლეების გაგების დონისა და მომდევნო გაკვეთილთან დაკავშირებულ წინარე ცოდნის შემოწმებას. გაკვეთილი წარიმართა გეგმის შესაბამისად.

დასახული და განხორციელებული აქტივობებით, დასახული მიზანი მიღწეულ იქნა. გაკვეთილის განმავლობაში ვცდილობდი ვყოფილიყავი ფასილიტატორი. ზომიერად ვაძლევდი მოსწავლეებს შესაბამის მითითებებს, გარკვეული ინტერვალებით, რათა არ შემეზღუდა მათი დამოუკიდებლობა ან არ შეჯახებოდნენ დაუძლეველ პრობლემას. მოსწავლეები მუშაობდნენ მოტივირებულად.

ნანა ლომაძე
სსიპ დაბა თიანეთის №2 საჯარო სკოლისა და თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის ქიმიის წამყვანი მასწავლებლი

მშობელთა კრება

საუკუნის სენი



როგორც ცნობილია, ყოველი ეპოქისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა სახის დაავადებანი, რომელთა თავიდან აცილება მედიცინის მუშაკთა უპირველესი ამოცანაა. მაგალითად, შუა საუკუნეებში ადამიანებს მუსრს ავლებდა შავი ჭირი და კეთრი, მოგვიანებით – პარტახტიანი ტიფი, სურავანდი და ა.შ. მეოცე საუკუნემ კი წარმოშვა ნევროზი – შიდსის შემდეგ, თანამედროვე ადამიანის ყველაზე დიდი მტერი. ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, უკანასკნელი 70-80 წლის მანძილზე, ნევროზის სხვადასხვა სახით დაავადების შემთხვევებმა 24-ჯერ იმატა. სპეციალისტთა აზრით, ამის მიზეზია ცხოვრების დაჩქარებული ტემპი, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. იშვიათად შეხვდებით დღეს კაცს, დროის უკმარისობას რომ არ უჩიოდეს. გამუდმებით სადღაც მივიჩქარით, ერთდროულად ათას საქმეს ვეჭიდებით და როცა საამისოდ დრო არ გვყოფნის, ვნერვიულობთ. სწორედ ჩვენს დროში გაჩნდა „პიკის საათის ნევროზი“, „რიგში დგომის ნევროზი“. დილით გვეშინია, სამსახურში არ დავიგვიანოთ და უფროსის საყვედური არ დავიმსახუროთ, ამიტომ კიდევ უფრო ვღიზიანდებით, როცა საზოგადოებრივი ტრანსპორტი იგვიანებს (რაც ჩვენში იშვიათი შემთხვევა არ გახლავთ). გამოვცხადდებით სამსახურში და იქ ვიღაც კიდევ უფრო აგვიშლის ისედაც აწეწილ ნერვებს. საღამოს ვბრუნდებით შინ დაღლილ-დაქანცულები და ვისმენთ მეუღლის საყვედურებს, ხან სამართლიანს და ხან უსამართლოს. სამსახურეობრივ კონფლიქტებს, ოჯახურ კოლიზიებს ემატება დიდი ქალაქების ხმაური, მანქანების საცობები, ტელევიზიით, კომპიუტერითა და მობილურით მეტისმეტი გატაცება და კიდევ ვინ იცის რა.

ნევროზი შეიძლება გამოიწვიოს რაიმე დაავადებამ, რომელიც ნერვულ სისტემას ასუსტებს, ასევე, ხანგრძლივმა უარყოფითმა ემოციებმა, ცუდმა საყოფაცხოვრებო პირობებმა, მოუწესრიგებელმა პირადმა ცხოვრებამ, სისტემატურმა გადაღლილობამ და სხვ. ნევროზის გამომწვევ მიზეზთა შორის, სპეციალისტები ადამიანისათვის საჭირო ცოდნის მოცულობის განუხრელ ზრდასაც ასახელებენ. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ადამიანისათვის სავალდებულო ცოდნის მოცულობა ყოველ 10-12 წელიწადში ორმაგდება, რაც სწავლების პერიოდის გახანგრძლივებას და სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გადატვირთვას იწვევს. ზოგიერთ ქვეყანაში ამა თუ იმ სახელმძღვანელოს მოცულობა, უკანასკნელ ოც წელიწადში, ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. ფიზიოლოგთა მტკიცებით, 14-15 წლის მოზარდის სასწავლო დატვირთვა, დღეში, არ უნდა აღემატებოდეს 6-7 საათს, სინამდვილეში კი ბეჯით მოსწავლეებს, დღეში, 10-12 საათი უხდებათ მუშაობა, გაცილებით მეტხანს, ვიდრე ზოგიერთ ზრდასრულ ადამიანს.

ინფორმაციის ნაკადი სულ უფრო და უფრო იზრდება, მის ათვისებას კი ბევრი ჩვენგანი ძილის ხარჯზე ცდილობს, რასაც ძილის ქრონიკული უკმარისობა მოსდევს. და თუ ეს სისტემატურად მეორდება, იწყება ნერვული სისტემის გამოფიტვა და ნევროზი.

დღევანდელი ბავშვები, ფიზიკურად და გონებრივად, უფრო განვითარებული არიან, ვიდრე მათი მამები და პაპები იყვნენ ამავე ასაკში. ამაზე დღეს არავინ დავობს, მაგრამ ამას ოდნავადაც არ შეუმცირებია ნევროზით დაავადებული და ახლომხედველი ბავშვების რიცხვი. პირიქით, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. ამასთან, ავადმყოფობის შემთხვევები უფრო ხშირია მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სკოლებში და იმ სკოლებში, სადაც საგნების ნაწილი ან ყველა საგანი უცხო ენაზე ისწავლება.

გადამდებ დაავადებათა თავიდან ასაცილებლად, ადამიანებს პატარაობიდანვე უკეთებენ აცრებს, მაგრამ ნევროზის პრევენციის მიზნით არაფერი კეთდება. მართალია, მედიცინის მუშაკები მკურნალობენ ასეთ ავადმყოფებს, მაგრამ ისინი ებრძვიან შედეგს და არა გამომწვევ მიზეზებს. აქ საჭიროა მთელი საზოგადოების, ყოველი ჩვენგანის, განსაკუთრებით კი პედაგოგების, ერთსულოვანი, შეთანხმებული მოქმედება და მუშაობა.

ნერვული სისტემის მოშლილობის წინააღმდეგ ბრძოლა ბავშვის დაბადებიდანვე უნდა დავიწყოთ. პატარები უნდა დავიცვათ იმ განცდებისგან, რაც ტრავმას აყენებს ფსიქიკას (მშობლების ჩხუბი, საშიში ამბების მოყოლა, ანალოგიური კინოფილმების ნახვა და ა.შ.), მაგრამ, როგორც დიდი უკრაინელი პედაგოგი ვასილ სუხომლინსკი გვასწავლის, პატარებთან არც მეტისმეტი ენის მოჩლექით ლაპარაკი ვარგა. ბავშვს ცხოვრება მხოლოდ ვარდისფერებში არ უნდა დავუხატოთ, არ უნდა მივაჩვიოთ იმ აზრს, რომ ამქვეყნად ყველაფერი იოლია, რომ ეს წუთისოფელი გაშლილი სუფრაა. პატარამ უნდა შეიგნოს, რომ სიხარულთან და განცხრომით ცხოვრებასთან ერთად, ადამიანის მუდმივი თანამგზავრია ტანჯვა-წვალება, მწუხარება, თორემ ხელთ შეგვრჩება სათუთი, ოთახის ყვავილივით აზიზად გაზრდილი არსება, პირველსავე სიძნელის წინაშე რომ წაიბორძიკებს და თუ ხელი არ შეაშველე, ვინ იცის, რა საშინელ უბედურებას დაატეხს საკუთარ თავსაც და ახლობლებსაც. საჭიროა ბავშვებს დროზე ჩავუნერგოთ ადამიანების სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა, განვუვითაროთ ნებისყოფა, ვასწავლოთ ზედმეტი ემოციებისგან თავის შეკავება, საკუთარ თავში ემოციური აფეთქების ჩაქრობა, საზოგადოებაში თავის დაჭერა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე აღზრდის სისტემა ხშირად სწორედ ამ უკანასკნელ მოთხოვნებამდეა დაყვანილი: „იყავი თავშეკავებული“, „შეგეძლოს თავის დაჭერა“, „ამას მოითხოვს ზრდილობა და ინტელიგენტობა“. ასეთ მიმართვებს ხშირად გაიგონებთ სკოლაშიც და ოჯახშიც, მაგრამ, სპეციალისტების აზრით, გამუდმებული „თვითდამუხრუჭება“ და განმმუხტავი ემოციები, თავის მხრივ, ფიზიოლოგიური რეგულატორული მექანიზმის რღვევას იწვევს და დაავადებას წარმოშობს. ცნობილი მფრინავი-გამომგონებელი მარინა პოპოვიჩი იგონებს, რომ ერთხელ ჰაერში თვითმფრინავმა მართვა დაკარგა და ვარდნა დაიწყო, რამაც ეკიპაჟის წევრთა პანიკა გამოიწვია. მათი დამშვიდების მიზნით, მარინამ გახსნა ხელჩანთა, ამოიღო სარკე, პომადა და ტუჩების შეღებვა დაიწყო. მანქანა რაღაც სასწაულით გადარჩა. ძირს დაშვებული მარინა თავს ბედნიერად გრძნობდა – ხუმრობდა, იცინოდა, ღამით კი, როცა უკვე ეძინა, დაეწყო ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ნერვული აშლილობა. აი, ასე ძვირი დაუჯდა მას ემოციების განმუხტვა.

დაგროვილი ემოციის დაოკება, შეკავება ძალზე ძნელია. ამას მხოლოდ ძლიერი ნებისყოფის ადამიანები ახერხებენ. გამოცდილმა გამომძიებლებმა იციან, რომ მკვლელი ვერ მოისვენებს, ვერ გაუძლებს სინდისის ქენჯნას, ვიდრე არ მივა იქ, სადაც მკვლელობა ჩაიდინა. ამიტომ იქვე ჩაუსაფრდებიან ხოლმე და დამნაშავეს იჭერენ. აღსარება – საიდუმლო ცოდვების აღიარება – სხვა არაფერია, თუ არა დაუძლეველი სურვილი, განიმუხტოს, გული მოიოხოს ცოდვილმა.

ანტონ ჩეხოვს, რომელმაც მშვენივრად იცოდა ემოციის მართვის კანონები, შესანიშნავი მოთხრობა აქვს „კაეშანი“. მოთხრობის ლაიტმოტივი ასეთია: მამას შვილი უკვდება. განუზომელია მისი მწუხარება. მოხუცს სურს, ვინმეს გაანდოს თავისი დარდი, რათა გული გადააყოლოს, მაგრამ არავის სურს მისი მოსმენა. საღამოს იგი ცხენს აჭმევს და გულსაც გადაუშლის. როგორც კი სხვას გაანდო თავისი დარდი, თუნდაც ცხოველს, მოხუცს მაშინვე გულს მოეშვა. რა მოხდა? დაგროვილი ენერგია (ემოცია) განიმუხტა. ამიტომ არასოდეს არ უნდა შევაწყვეტინოთ ლაპარაკი აღელვებულ ადამიანს, ბოლომდე ვაცალოთ გულის გადაშლა, თორემ მოთმინებიდან გამოვა, ხმას აუწევს და რაც უნდა ვეცადოთ მის შეჩერებას, დაგროვილ ბოღმას მაინც გადმოანთხევს.

ემოციებისგან განმუხტვის საუკეთესო საშუალებაა დასახული მიზნის მიღწევა, მაგრამ ეს ყოველთვის არ ხერხდება. ამაში დაგვეხმარება საინტერესო, მიმზიდველი, შემოქმედებითი შრომა-საქმიანობა. იგი ამაღლებს ჩვენს გუნება-განწყობილებას, სიხარულსა და ხალისს გვმატებს ცხოვრებაში. კარგი საშუალებაა, ასევე, მუსიკა, აუმჯობესებს ადამიანის გუნება-განწყობილებას და ამაღლებს შრომისუნარიანობას.

ბევრს ახალისებს კინოფილმი, საინტერესო წიგნი, ნადირობა, თევზაობა, ბუნებაში გასეირნება, ცირკი, მაგრამ, ფიზიოლოგთა აზრით, ვერც ერთი მათგანი ისე საიმედოდ ვერ განტვირთავს დაგროვილ უარყოფით ემოციებს, როგორც ცრემლები. ადამიანებმა, ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ, იცოდნენ და ყველაზე უკეთეს წამლად, მძიმე მწუხარებაში, ცრემლები მიაჩნდათ. ამიტომ, თუ გვინდა განვიტვირთოთ უარყოფითი ემოციებისგან, რაიმე დიდი მწუხარების დროს, მწარედ უნდა ვიტიროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მწუხარება, რომელიც არ გადმოღვრილა ცრემლების სახით, სხვა ორგანოებს აატირებს. ვინც „გულში ტირის“, ის გაცილებით მეტად იტანჯება, ვიდრე ის, ვინც ცრემლად იღვრება.

დაბოლოს, მთავარი ის კი არ არის, რომ თავი დავიცვათ დაძაბულობისა და უსიამოვნებისგან, არამედ ის, რომ ბავშვობიდან აღვზარდოთ ადამიანში ემოციების მართვის უნარი. ამასთან, თითოეულ აღსაზრდელს პატარაობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ადამიანების სიყვარული და პატივისცემა, რათა კაცი კაცის ნამდვილი წამალი იყოს. მაშინ ჩვენი ცხოვრება კიდევ უფრო სახალისო და საინტერესო გახდება და ნაკლები ადგილი ექნება ადამიანთა ტყუილუბრალოდ ნერვების აშლას.

ნოდარ ბასილაძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ახალი ამბები

ეროვნულმა ბანკმა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადება დაიწყო

ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერების საკითხების ეროვნულ სასწავლო გეგმაში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, ეროვნულმა ბანკმა, გერმანული შემნახველი ბანკების ფონდის (SBFIC) მხარდაჭერითა და სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის ჩართულობით, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადების პროექტის განხორციელება დაიწყო.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას ეკონომიკურ-ფინანსური განათლების მიმართულებით, რაც მათ საშუალებას მისცემს, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით დაგეგმონ და განახორციელონ ინტერაქტიული გაკვეთილები.

პროექტის ფარგლებში უკვე შემუშავდა ტრენინგ-მოდული, დამხმარე სასწავლო მასალა მასწავლებლებისთვის, განხორციელდა ტრენერთა ტრენინგი, რომელიც, თავის მხრივ, მარტში 300-მდე, ხოლო წლის ბოლომდე სამოქალაქო განათლების 600-მდე პედაგოგის გადამზადებას ითვალისწინებს.

მასწავლებელთა ტრენინგების შესახებ ინფორმაცია როგორც განათლების სამინისტროს, ისე სამოქალაქო პედაგოგთა ფორუმის მიერ გავრცელდა და მასზე დარეგისტრირება შესაძლებელი იყო ნებისმიერი დაინტერესებული პედაგოგისთვის, რომელიც საგანს „მოქალაქეობა“ ასწავლის. 22-23 თებერვალს მასწავლებელთა პირველი ტრენინგი თბილისში გაიმართა. მომდევნო ტრენინგები, ეტაპობრივად, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ჩატარდება.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018 წელს დამტკიცდა და მასში, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული ბანკის აქტიური ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, ფინანსურ-ეკონომიკური განათლების საკითხები, საბაზო საფეხურზე, გაერთიანდა საგანში „მოქალაქეობა“. ახალი გეგმის მიხედვით, სწავლება 2019-2020 სასწავლო წელს, პირველად, მე-7 კლასებში დაიწყო და მომდევნო წლებში, ეტაპობრივად, საბაზო საფეხურის ზედა კლასებშიც გაგრძელდება. უშუალოდ ფინანსურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლას მოსწავლეები მიმდინარე წლის აპრილ-მაისიდან შეძლებენ.

„ბავშვები და ახალგაზრდები ფინანსური განათლების ერთ-ერთი პრიორიტეტული სამიზნე ჯგუფია და ამ მიმართულებით ეროვნული ბანკი არაერთ აქტივობას ახორციელებს. თუ დღემდე ეს აქტივობები, ძირითადად, არაფორმალური განათლების გზით ხორციელდებოდა, წელს პირველად, მოსწავლეები ამ საკითხებს უკვე სკოლაშიც შეისწავლიან. ამ კუთხით, ძალიან მნიშვნელოვანია ფინანსური განათლების საკითხების ირგვლივ მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება და მათი შესაძლებლობების გაზრდა, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო გერმანული შემნახველი ბანკების ფონდს, რომელიც უკვე მრავალი წელია ეროვნული ბანკის პარტნიორია, ასევე, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმს, ვისი აქტიური ჩართულობითაც მოხდა მასწავლებლების მობილიზება და მათთვის ფინანსურ-ეკონომიკური საკითხების შესახებ საჭირო ინფორმაციის გადაცემა,“ – განაცხადა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, **კობა გვენეტაძემ.**

სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის განკუთვნილი დამხმარე სასწავლო მასალა მე-7 კლასის წლიურ პროგრამაში მოცემულ ყველა ეკონომიკურ-ფინანსურ საკითხს ფარავს, ასევე, მოიცავს ჯგუფურ სამუშაოებს, საკლასო აქტივობებსა თუ სხვა დავალებებს, რომლებიც სწავლების პროცესს უფრო საინტერესოსა და ინტერაქტიულს გახდის. აღნიშნული მასალის ელექტრონული ვერსია ეროვნული ბანკის ვებგვერდზეც აიტვირთება და მის გამოყენებას ყველა დაინტერესებული მასწავლებელი უფასოდ შეძლებს.

ესტონელ ხალხს დამოუკიდებლობის დღე მიულოცეს

ესტონეთის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ჩხენკელმა** ესტონეთის რესპუბლიკის საელჩოს ორგანიზებით გამართულ საზეიმო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, ესტონელ ხალხს ღირსშესანიშნავი თარიღი მიულოცა და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა:

„ჩემთვის დიდი პატივია ესტონეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობა. მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დაინგრა საბჭოთა კავშირი, ესტონეთმა რთული გზა გაიარა ევროპულ ოჯახში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად და დღეს ის თავისუფალი სამყაროს ეკონომიკურად ძლიერ და სრულუფლებიან წევრ სახელმწიფოს წარმოადგენს.

ესტონეთი ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. ჩვენი ესტონელი მეგობრების მხარდაჭერა დაგვეხმარა ძლიერი და დამოუკიდებელი ქვეყნის ჩამოყალიბებაში, თქვენი თანადგომა გვეხმარება საქართველოს ევროკავშირთან და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის პროცესში. ქართველი ხალხის სახელით, ამისათვის მინდა უდიდესი მადლობა გადაგიხადოთ.

საქართველოსა და ესტონეთს მრავალწლიანი მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ სხვადასხვა სფეროში. მე, როგორც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, ხაზი მინდა გავუსვა განათლების სფეროში ჩვენს მრავალწლიან პარტნიორობას.

იმედს გამოვთქვამ, რომ მომავალში ჩვენი თანამშრომლობა ინტენსიურად გაგრძელდება, რაც ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობას კიდევ უფრო გააღრმავებს.“

საქართველოში ესტონეთის რესპუბლიკის საელჩოს ორგანიზებით გამართულ ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და საქართველოს სხვადასხვა სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები.

შშმ პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი რეალური საჭიროებები

პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა განიხილა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კანონპროექტი, თანდართულ საკანონმდებლო პაკეტთან ერთად.

იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის, **მიხეილ სარჯველაძის** განმარტებით, კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, იმოქმედებს ერთიანი, სისტემური საკანონმდებლო აქტი, რომელიც განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების კონკრეტულ მექანიზმებს, ინსტიტუციების მიხედვით დაადგენს ვალდებულებებს შესაბამის სფეროში სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და მათში მოცემული ღონისძიებების დროის განსაზღვრულ მონაკვეთში განხორციელების შესახებ; დანერგავს კონვენციის იმ სტანდარტებს, რომლითაც ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზებისთვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება ჯანდაცვის, განათლების, სამოქალაქო ინტეგრაციის, დასაქმების, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებებით, ისევე, როგორც საზოგადოებაში ამ პირთა ინტეგრაცია და მათთვის ყველა სახის მომსახურების ხელმისაწვდომობა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა დაფუძნებული იქნება სოციალური მოდელის მიდგომაზე, რომელიც ამ კატეგორიის პირთა რეალური საჭიროებების განსაზღვრასა და შესაბამის რეაგირებაზეა ორიენტირებული.

გარდა ამისა, კანონპროექტის მიღებით შემოღებული იქნება „უნივერსალური დიზაინის“ პრინციპი და ამოქმედდება ვალდებულება – ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობასა და ახალი სერვისების შემოღებასთან ერთად, 15-წლიანი დროის პერიოდში უნდა განხორციელდეს უკვე არსებული შენობა-ნაგებობებისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურის, აგრეთვე სერვისების უნივერსალური დიზაინის შესაბამისად ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; ამის გარდა, იმოქმედებს „გონივრული მისადაგების“ პრინციპი, რომელიც თავიდან ააცილებს ქვეყანას არაპროპორციულ ან გადამეტებულ ტვირთს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებებისა და თავისუფლებების სხვებთან თანასწორ პირობებში რეალიზებას.

ახალი ამბები

მსჯავდებულებისთვის უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე სწავლის მხარდასაჭერი ინიციატივა ჩავარდა

პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა საკანონმდებლო წინადადებას, რომელიც მსჯავრდებულებისთვის, უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, სწავლის შესაძლებლობის მიცემას გულისხმობდა.

საკანონმდებლო წინადადების ავტორი მოქალაქე **ალექსანდრე სელეპანოვია**, რომლის განცხადებითაც, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, უმაღლესი განათლების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე სწავლის საშუალება აქვთ მხოლოდ იმ მსჯავრდებულ პირებს, რომლებიც განთავსებულები არიან მხოლოდ 3 დაწესებულებაში – დაბალი რისკის, გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულება და არასრულწლოვანი მამაკაცი მსჯავრდებულების.

მისივე თქმით, ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში, ნახევრად ღია და დახურული ტიპის, ასევე განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს არ ეძლევათ უმაღლესი განათლების მიღების უფლება.

„პატიმრობის კოდექსით, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე, უმაღლესი განათლების მიღების უფლება ეძლევა მხოლოდ იმ მსჯავრდებულს, რომელიც მოთავსებულია სამ დაწესებულებაში. ამ დაწესებულებებში იმყოფება მხოლოდ 300 მსჯავრდებული. სხვა დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულების რაოდენობა კი, დაახლოებით, 9 ათასია. მათ ასეთი კანონისმიერი უფლება არ გააჩნიათ. ასევე, არც ერთ ქალ მსჯავრდებულს, მათ შორის არასრულწლოვნებს, არ გააჩნია კანონისმიერი უფლება, მიიღოს უმაღლესი განათლება, რადგან ქალთა სპეციალური დაწესებულება ამ სამ დაწესებულებათა შორის არ შედის. პრობლემა ისაა, რომ ეს ადამიანები დაწესებულების ხელმძღვანელთა კეთილ ნებაზე რჩებიან დამოკიდებული. რაც შეეხება დოქტორანტურას, მსჯავრდებულებს, კანონით, სრულიად შეზღუდული აქვთ ამ საფეხურზე განათლების მიღების შესაძლებლობა,“ – განაცხადა საკანონმდებლო წინადადების ავტორმა.

„შოკური თერაპიის“ ავტორს – ლეშეკ ბალცეროვიჩს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა

ლეშეკ ბალცეროვიჩისთვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **გიორგი შარვაშიძე** უძღვებოდა.

ღონისძიებაში მონაწილეობდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი**, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და პროფესორ ბალცეროვიჩს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება პირადად მიულოცა.

„პროფესორ ბალცეროვიჩის მიერ განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა, რომელიც „ბალცეროვიჩის გეგმის“ სახელით არის ცნობილი, მნიშვნელოვანი ეფექტი მოახდინა პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებზე, მათ შორის, წვლილი შეიტანა საქართველოს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლაში. მისი მრავალწლიანი კარიერა არაერთ პრესტიჟულ ჯილდოს ითვლის და ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ პროფესორ ბალცეროვიჩს დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. ამით ვადასტურებთ მის მაღალ აკადემიურ მიღწევებსა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილ განსაკუთრებულ წვლილს. მინდა კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი პროფესორ ბალცეროვიჩის მიღწევების მნიშვნელობას, მივულოცო ეს მნიშვნელოვანი ჯილდო და ვუსურვო წარმატება მომავალ საქმიანობაში.“

ე.წ. „შოკური თერაპიის“ ავტორი ლეშეკ ბალცეროვიჩი პოლონელი ეკონომისტი, სახელმწიფო მოღვაწე და ვარშავის ეკონომიკის სკოლის პროფესორია. 1989 წელს იგი გახდა ტადეუს მაზოვიეცკის პირველი არაკომუნისტური მთავრობის ფინანსთა მინისტრი და ხელმძღვანელობდა თავისუფალი ბაზრის ეკონომიკურ რეფორმებს, რომლის შედეგად პოლონეთის ეკონომიკა ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გახდა. სხვადასხვა წლებში ის იკავებდა პოლონეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრის მოადგილის და სხვა მაღალი რანგის თანამდებობებს.

ლეშეკ ბალცეროვიჩი მსოფლიოს 20-ზე მეტი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია. წარმატებული კარიერის განმავლობაში, მას ისეთი პრესტიჟული ჯილდოები აქვს მიღებული, როგორებიცაა: ლუდვიგ ერჰარდის სახელობის პრემია, ტრანსატლანტიკური ლიდერების ჯილდო, კარლ ბერტელმანის პრემია (Carl Bertelsmann Prize) და სხვა.

ლეშეკ ბალცეროვიჩი 100-ზე მეტი პუბლიკაციის ავტორია პოლონეთსა და მის ფარგლებს გარეთ.

ჟვანიას სკოლაში, ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმის განხორციელების მიზნით, ტრენინგები დაიწყო

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში, ჟვანიას სკოლასა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 3-დღიანი ტრენინგის „ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმა – რეალობა და გამოწვევები“ განხორციელება დაიწყო. ტრენინგებში მონაწილეობენ ქუთაისის, ახალქალაქის, ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების მერიის წარმომადგენლები, შესაბამისი სამსახურის უფროსები, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები, ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელები, პირები, რომლებიც სკოლამდელი განათლების რეფორმაზე მუშაობენ.

„ამ ეტაპზე, პროექტში, საპილოტე რეჟიმშია ჩართული საქართველოს 12 მუნიციპალიტეტი. პილოტირებაში ჩართული მუნიციპალიტეტებისთვის, ტრენინგების გარდა, დაგეგმილია ექსპერტების გამოყოფა და მათთვის სამუშაო ადგილზე კონსულტაციების გაწევა. ეს მნიშვნელოვანი შედეგი იქნება გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის, რადგან მათ ექნებათ საშუალება, უფრო თანამედროვე, უფრო ეფექტიანი მეთოდები გამოიყენონ, სკოლამდელი განათლების ფარგლებში, გადაწყვეტილების მიღების დროს,“ – განაცხადა ჟვანიას სკოლის დირექტორის მოადგილემ, **პაატა კლდიაშვილმა**.

პროექტის მონაწილეებს შეხვდნენ და წარმატებები უსურვეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი განათლების სამმართველოს უფროსმა, **თამარ თოლორაიამ** და გაეროს ბავშვთა ფონდის ადრეული განათლების სპეციალისტმა, **ანა ჯანელიძემ**.

პროექტის მიზანია ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმის წარმატებით განხორციელების ხელშეწყობა. როგორც ცნობილია, მიმდინარე რეფორმის ფარგლებში შემუშავდა და დამტკიცდა კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, ასევე სახელმწიფო სტანდარტები. ტრენინგების ორგანიზატრების განცხადებით, როგორც კანონის აღსასრულებლად, ასევე სტანდარტების დასანერგად, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, საჭიროა მთელი რიგი საქმიანობების თანმიმდევრული განხორციელება, მათ შორის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა სფეროში დასაქმებული კადრების უწყვეტი პროფესიული განვითარება, რაც არა ერთჯერადი, არამედ ციკლური პროცესია.

რეგიონი

ზოგადი განათლების სფეროში ავტონომიური რესპუბლიკების უფლებამოსილება იზრდება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, **ლადო მგალობლიშვილმა** საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის სხდომაზე, მორიგი საკანონმდებლო ინიციატივის წესით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები (მესამე მოსმენა) წარადგინა. კანონის პროექტის თანახმად, ზოგადი განათლების სფეროში, ავტონომიური რესპუბლიკების უფლებამოსილება იზრდება, კერძოდ, ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს საშუალება ეძლევათ: შეისწავლონ გადაცდომები, რის შემდეგაც უფლებამოსილნი იქნებიან, საჯარო სკოლას მისცენ წერილობითი გაფრთხილება, ვადამდე შეუწყვიტონ დირექტორს/დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს უფლებამოსილება, თუ საჯარო სკოლა ერთი წლის განმავლობაში ორ წერილობით გაფრთხილებას მიიღებს; დაითხოვონ სამეურვეო საბჭო ან/და ვადამდე შეუწყვიტონ უფლებამოსილება დირექტორს/დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, თუ საჯარო სკოლა წერილობით გაფრთხილებაში მითითებულ ვადაში არ აღმოფხვრის დარღვევას.

აღნიშნული ინიციატივა საჯარო სკოლებში სისტემური ხარვეზებისა და ინდივიდუალური გადაცდომების ეფექტურ გამოვლენასა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული.

პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა ლადო მგალობლიშვილის ინიციატივას მესამე მოსმენით დაუჭირა მხარი.

სამუშაო ვიზიტი აჭარაში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **ეკატერინე დგებუაძე**, აჭარაში ვიზიტის ფარგლებში, ბათუმში, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს, **მაია ხაჯიშვილს** შეხვდა და მასთან საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში არსებული გამოწვევები, მიღწევები, დაგეგმილი სიახლეები და განათლების რეფორმის მიზნები განიხილა.

სამუშაო შეხვედრაზე საუბარი შეეხო სკოლებში ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობასა და უსაფრთხოებისა და ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმების გაძლიერებას. მაია ხაჯიშვილმა მინისტრის მოადგილეს ზოგადი განათლების მიმართულებით აჭარაში მიმდინარე, განხორციელებული და დაგეგმილი პროგრამები გააცნო.

მინისტრის მოადგილე მიმდინარე პროექტებს ადგილზეც გაეცნო, შეხვდა ადგილობრივ პედაგოგებსა და რესურსცენტრის წარმომადგენლებს, მოინახულა აჭარის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სკოლა.

ერთ-ერთი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლაა, რომლის მოსწავლეები, 2021-2022 წლიდან, თანამედროვე სტანდარტების ახალ შენობაში გააგრძელებენ სწავლას. ეკატერინე დგებუაძე და მაია ხაჯიშვილი ადგილზე გაეცნენ მშენებლობის პროცესს, შეხვდნენ მოსწავლეებსა და პედაგოგებს.

ფერიის სკოლის თანამედროვე სტანდარტების ოთხსართულიანი შენობა 430 მოსწავლეზეა გათვლილი. მშენებლობის პროცესში გამოყენებულია ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო მასალები. სკოლის პროექტირებისას სრულადაა გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმები და სსსმ მოსწავლეების საჭიროებები. მომავალი სასწავლო წლისთვის შენობა უახლესი, თანამედროვე სასკოლო ინვენტარით აღიჭურვება, ექნება სასწავლო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი და სპორტული მოედანი.

მშენებლობა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით ხორციელდება, პროექტის ჯამური ღირებულება 3 444 444 ლარს შეადგენს.

მშენებლობის დათვალიერების შემდეგ, მინისტრის მოადგილე ფერიის საჯარო სკოლის ძველ შენობაში აფხაზური ენის გაკვეთილსაც დაესწრო. მოსწავლეებმა აფხაზურ ენაზე წარმოადგინეს ლიტერატურული პერფორმანსი და აფხაზური ხალხური სიმღერებიც შეასრულეს.

სოფელ ფერიაში, სადაც 300-მდე აფხაზურ-ქართული ოჯახი ცხოვრობს, აფხაზური ენის სწავლება 2017 წლის იანვრიდან დაიწყო. დღეისათვის, მსმენელების ორი ჯგუფი ფუნქციონირებს, მათ აფხაზურ ენას ლინგვისტი **ლიანა აიკუცბა** ასწავლის.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში, ეკატერინე დგებუაძემ და მაია ხაჯიშვილმა, „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, ადგილობრივი რესურსცენტრებისა და სკოლების დირექტორებთან დისკუსია გამართეს.

მინისტრის მოადგილემ შეხვედრაზე პრეზენტაცია წარმოადგინა და განათლების ხელმისაწვდომობაზე, სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებაზე, საგანმანათლებლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვასა და სკოლების ავტორიზაციის სტანდარტებზე ისაუბრა.

შეხვედრის მონაწილეებმა „ახალი სკოლის მოდელის“ დანერგვით მიღწეულ შედეგებსა და გამოწვევებზეც იმსჯელეს და მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნის საკითხები განიხილეს. დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და ადგილობრივი რესურსცენტრებისა და სკოლების წარმომადგენლებს პრობლემურ საკითხებზე საუბრის საშუალება მიეცა.

პროექტი „ახალი სკოლის მოდელი“ 2019 წელს დაიწყო და, ამ ეტაპზე, აჭარის 5 სკოლაში (ქ. ბათუმის №1, №17, №20, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლასა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვას №2 საჯარო) ხორციელდება.

ეკატერინე დგებუაძე ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვას №2 საჯარო სკოლასაც ეწვია, რომელსაც 2018-2019 სასწავლო წელს, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

200 მოსწავლეზე გათვლილი სკოლა აღჭურვილია უახლესი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებითა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საკლასო ოთახებით. საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს სსსმ მოსწავლეებისთვის სრულად ადაპტირებული გარემო და შიდა სპორტული დარბაზი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საკლასო ოთახები და ლაბორატორიები.

2019 წლის ოქტომბერში ლეღვას №2 სკოლა „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში ჩაერთო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შევიდა მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებს სასწავლო პროცესში მეთოდური სიახლეების დანერგვასა და სასკოლო კულტურის განვითარებაში ეხმარება.

მინისტრის მოადგილე ეკატერინე დგებუაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან მაია ხაჯიშვილთან ერთად, აჭარის განათლების ფონდს, ბათუმის მასწავლებლის სახლს ესტუმრა, სადაც ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებისთვის უცხოეთში სტაჟირების ფინალურ კონკურსს დაესწრო.

შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის უფლება აჭარის საჯარო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის V-XII კლასების უფროს, წამყვან ან მეტორ პედაგოგებს ჰქონდათ, ფინალურ ტურში კი, ის მასწავლებლები მონაწილეობდნენ, რომლებმაც პირველი ეტაპი წარმატებით გადალახეს. კონკურსის შედეგად გამოვლენილი 10 საუკეთესო კანდიდატი გერმანიაში, გოეთეს უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ერთკვირიან სტაჟირებას გაივლის, რომლის ხარჯებსაც აჭარის განათლების ფონდი სრულად დაფარავს.

ეკატერინე დგებუაძემ კონკურსის მონაწილეებს წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ ასეთი შესაძლებლობების მიცემა პედაგოგებისთვის ხელს უწყობს მათ პროფესიულ ზრდა-განვითარებას. კონკურსის დასრულების შემდეგ, მან მასწავლებელთა სახლის შენობა დაათვალიერა და დაესწრო პედაგოგების ტრენინგს „ინკლუზიური განათლების შესავალი“.

სპორტული სეზონის ახალი ლაურეატები

ირაკლი თავაძე

21 თებერვალს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გაიმართა 2019 წლის სასკოლო სპორტული კლუბების კონკურსში გამარჯვებული სკოლების, მათი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების და დირექტორების დაჯილდოება. ამგვარი ღონისძიება სეოკ-ში დეკემბერში უკვე გაიმართა, ოღონდ ის იყო 2018 წლის ანალოგიური კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოება, ამჯერად კი 2019 წლის ლაურეატები გამოავლინეს.

შეგახსენებთ, რომ ამ პროექტს ერთობლივად ახორციელებენ თავად სეოკ-ი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და თბილისის რეგიონული ოლიმპიური კომიტეტი. ეს პროექტი მიზნად ისახავს მოსწავლეთა მასობრივ ჩართულობას ფიზიკურ აქტივობებსა და მასობრივ ღონისძიებებში, ასევე სასწავლო პროცესის დაგეგმვა-წარმართვაში, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტების მიხედვით.

ეს პროექტი მოიცავს ფორმალურ თუ არაფორმალურ განათლებას, სადაც წარმმართველია სკოლებში არსებული სპორტული კლუბი. მათ საქმიანობაში შედის არა მარტო სპორტის გაკვეთილები, არამედ სკოლის გარეშე აქტივობებიც – ლაშქრობები, ვიქტორინები, სხვადასხვა ტიპის თეორიულ-პრაქტიკული მეცადინეობები. სპორტის კუთხით კლუბების და ამით მთელი სკოლის მუშაობის შესაფასებლად არსებობს გარკვეული კრიტერიუმები, ხოლო თუ როგორ სრულდება ესა თუ ის მოთხოვნა პრაქტიკულად, ამას უკვე სამინისტრო ადგილზე, უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში აკვირდება. ამ შემოწმების შედეგად ზემოხსენებული კრიტერიუმებით ხდება სკოლების შეფასება და ასე ვლინდებიან გამარჯვებულები. შარშანდელი სეზონის შედეგებით, საუკეთესოდ თბილისის 22-ე საჯარო სკოლა სცნეს (დირექტორი – **რუსუდან ზედაშიძე**, სპორტის მასწავლებელი – **მარინა კანდელაკი**), მეორეზე 131-ე სკოლა გავიდა (დირექტორი – **ხათუნა ენუქიძე**, მასწავლებელი – **ლია მესტვირიშვილი**), მესამეზე – 114-ე სკოლა (დირექტორი – **გიული გაბიტაშვილი**, მასწავლებელი – **თამარ გოგატიშვილი**). მასწავლებლებთან ერთად დაჯილდოვდნენ ამავე სკოლების დირექტორებიც, რომლებსაც გადაეცათ სერტიფიკატები და საჩუქრები. სეოკ-მა ისინი ოლიმპიურ თემატიკაზე გამოცემული ლიტერატურითაც დააჯილდოვა.

შეხვედრას ესწრებოდნენ სეოკ-ის პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი**, პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი**, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ექსპერტი **გია ბეგიაშვილი**, თბილისის რეგიონული ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **მურთაზ მნათობიშვილი** და სხვები.

ღონისძიება შესავალი სიტყვით ლერი ხაბელოვმა გახსნა. სკოლებში, მოზარდ თაობაში სპორტის მნიშვნელობასა და ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერების აუცილებლობაზე საუბრისას, მან ისიც გაიხსენა, პატარა ბავშვებისთვის რაოდენ დიდი მაგალითი იყვნენ ცნობილი სპორტსმენები. ბუნებრივია, იმაზეც ისაუბრა, რამდენად მნიშვნელოვანია ჯანმრთელი თაობის აღზრდა და რამდენად დიდი დივიდენდია ეს ქვეყნისთვის. ამავდროულად, მადლობა გადაუხადა სკოლებს, სპორტის მასწავლებლებს, სამინისტროს იმისთვის, რასაც ისინი ამ კუთხით აკეთებენ, თავის მხრივ კი, აღნიშნა, რომ არა მარტო ოლიმპიური კომიტეტი, არამედ საქართველოს პარლამენტიც მაქსიმალურად დაეხმარება მათ მუშაობაში.

დირექტორებმა თუ მასწავლებლებმა მადლობა გადაუხადეს ხელისუფლებას გაწეული სამსახურისთვის. აღინიშნა, რომ ბოლოდროინდელი რეფორმებით გაიზარდა სკოლებში სპორტის როლი, ამაღლდა მისი ავტორიტეტი და სპორტი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი გაკვეთილი გახდა ბავშვებისთვის. ითქვა, რომ ადრე თუ სპორტული ფორმით არავინ დადიოდა და მის მოსატანად მასწავლებლებს ხშირად იძულებითი ღონისძიებების გატარება უწევდათ, ახლა ვითარება რადიკალურად შეიცვალა და არათუ დაძალება სჭირდებათ, პირიქით, თავისითაც მოაქვთ, ელოდებიან კიდეც სპორტის გაკვეთილს და ხალისითაც ერთვებიან მასში. თუმცა ისიც ითქვა, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო და სპორტის, როგორც სოციალური სფეროს როლის, ცნობიერების ასამაღლებლად უფრო მეტი მუშაობაა საჭირო და ამაში ყველა რესურსი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ – მასმედია, რეკლამა, ფართო პროპაგანდა და სხვა. ამ მხრივ საინტერესო მაგალითი დაასახელა მნათობიშვილმა – თურმე მას დილაობით ჯერ კიდევ უწევს შვილიშვილის ჩანთის შემოწმება იმის სანახავად, მიაქვს თუ არა მას სკოლაში სპორტული ფორმა.

თუმცა, სამადლობელ გამოსვლებთან ერთად, იყო შენიშვნა-მოსაზრებებიც, სპორტული კუთხით მუშაობის ასამაღლებლად რა შეიძლება გაკეთდეს სამომავლოდ. მაგალითად, ითქვა, რომ კარგი იქნება საგრანტო პროგრამების გამოცხადება, რაც სკოლებს დამატებითი ფინანსების მოძიების საშუალებას მისცემს. დირექტორებისა თუ მასწავლებლების თქმით, ინვენტარით უზრუნველყოფის მხრივ, ბოლო წლებში, სახელმწიფო მართლაც ბევრს აკეთებს და ამ კუთხით საწუწუნოდ არ აქვთ საქმე, მაგრამ მეტი შემოსავალი თუ ექნებათ, კიდევ უფრო მეტის გაკეთების შესაძლებლობა მიეცემათ. ამ ინიციატივით 22-ე სკოლის დირექტორი რუსუდან ზედაშიძე გამოვიდა, რომელმაც თქვა, რომ ადრე მათი სკოლა ხშირად მონაწილეობდა ანალოგიურ საგრანტო კონკურსებში, ბევრიც მოუგია და დამატებითი შემოსავალიც ჰქონიათ. ამაზე გია ბეგიაშვილმა საინტერესო ინიციატივა გაახმოვანა: თურმე პარლამენტარი, ოლიმპიური ჩემპიონი და სპორტის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე შოთა ხაბარელი აქტიურად მუშაობს საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომ მოსწავლის დაფინანსებას დაემატოს ვაუჩერის 1 პროცენტი, რაც ერთ მოსწავლეზე წელიწადში 5 ლარია, მთლიანობაში კი, გვარიანი თანხა გამოდის, რაც სკოლას საშუალებას მისცემს, დაიკმაყოფილოს სწორედ ის დამატებითი მოთხოვნები – შეიძინოს დამატებითი ინვენტარი, გაარემონტოს ან გააუმჯობესოს სპორტული ბაზა, ჩაატაროს სხვადასხვა აქტივობა, შეიძინოს მედლები, წაახალისოს სხვადასხვა ინიციატივები... ამ ჩანაფიქრის ასრულების შემთხვევაში, სკოლას აღარ მოუწევს გრანტებზე ფიქრი, ოღონდ კიდევ ვიმეორებთ, რომ ეს იქნება მიზნობრივი დაფინანსება სპორტზე. აქვე იმასაც გეტყვით, რომ სპორტული ინვენტარის გაუმჯობესების მიზნით, „ახალი სკოლის პროექტის“ ფარგლებში, განათლებისა და სპორტის სამინისტროც გეგმავს გარკვეულ სიახლეებს, რაც ამ კუთხით დიდი გარღვევა იქნება, თუმცა ამაზე საუბარი სამომავლოდ გადავდოთ, როცა ყველაფერი საბოლოოდ დაზუსტდება და გაირკვევა.

შეხვედრაზე კიდევ ერთ საჭირბოროტო საკითხზე ისაუბრეს – პროფესიონალი კადრების დეფიციტზე, რადგან სკოლებში ჯერ კიდევ ბლომად არიან სპორტის ისეთი მასწავლებლები, რომლებსაც სათანადო განათლება არ აქვთ. ითქვა, რომ, თავის დროზე, ამ კუთხით, ძალიან ცუდი ფაქტი იყო მაშინდელი ფიზკულტურის ინსტიტუტის გაუქმება, რის შედეგებს დღემდე ვიმკით. გია ბეგიაშვილის ინფორმაციით, დღევანდელ სპორტის სასწავლო უნივერსიტეტთან არსებულ კოლეჯში, სექტემბრიდან, იგეგმება სპორტის მასწავლებელთა კურსებზე ახალი ნაკადის მიღება – საუბარია 400 კანდიდატზე, თუმცა ეს საკითხი ჯერ განხილვის პროცესშია. თუმცა არის მოსაზრება, რომ ეს მიღება რეგიონული პრინციპით მოხდეს, ანუ რეგიონებში, ადგილებზე გაიმართოს სასწავლო პროცესი. ასევე სექტემბრიდან სამინისტრო გეგმავს, სპორტის 23 მასწავლებელი შეიყვანოს რესურსცენტრებში, რომლებიც ადგილზე წარმართავენ და გაუწევენ კოორდინაციას მუშაობას. ადრეც ხშირად დაგვიწერია, რომ „ახალი სკოლის პროექტის“ ფარგლებში სამინისტრომ რამდენჯერმე ჩაატარა სხვადასხვა ტიპის აქტივობები სპორტის მასწავლებელთა გადასამზადებლად, რომლებიც მერე ადგილებზე სხვებს უტარებდნენ მონიტორინგს. ამჯერად ეს უფრო სხვა სიმაღლეზე ავა, რადგან ოფიციალურად იქნება რესურსცენტრში და გვარიანი ხელფასიც დაენიშნებათ. მარტივად რომ ვთქვათ, ეს ადრინდელი მეთოდისტის ინსტიტუტია, ოღონდ ახლა სხვა სახელით. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს სათანადო კადრების შერჩევა გადამზადებულ სპორტის მასწავლებელთა შორის, მერე კი შერჩეულ კადრებს სათანადო ტრენინგები ჩაუტარდებათ.

გრანდებთან პაექრობით შეძენილი გამოცდილება

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ბელგრადში, სერბეთის ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ, თბილისში დაბრუნდა. **ილიას ზუროსის** გაწვრთნილმა გუნდმა მსოფლიო კალათბურთის ერთ-ერთ გრანდს, სერბეთის ნაკრებს, ევროპის 2021 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩში, 94:90 მოუგო და, ორი მატჩიდან ორი გამარჯვების შემდეგ, E ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერია.

თბილისში დაბრუნებულ საქართველოს ნაკრებს აეროპორტში დახვდნენ და ისტორიული გამარჯვება მიულოცეს: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **შალვა გოგოლაძემ** და სპორტის განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, **ირაკლი დოლაბერიძემ**.

კალათბურთელთა ნაკრებმა, სერბეთში გამარჯვებამდე, სპორტის სასახლეში შვეიცარიის ნაკრები დაამარცხა 96:88. მომდევნო ოფიციალური მატჩის გამართვა ქართველ კალათბურთელებს 27 ნოემბერს მოუწევთ, როდესაც ფინეთის ნაკრებს სტუმრად დაუპირისპირდებიან.

შეგახსენებთ, რომ ევროპის 2021 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ერთ-ერთ ჯგუფს თბილისი მასპინძლობს. ჩვენს გუნდს ევროპის ჩემპიონატზე თამაში აქედანვე გარანტირებული აქვს, თუმცა, შესარჩევ ეტაპს, როგორც სხვა მასპინძელი ქვეყნები, მაინც თამაშობს, რაც გუნდის მწვრთნელებს გუნდის მომზადების და ახალი ტაქტიკური სქემების გამოცდის შესაძლებლობას აძლევს. ნაკრების ახალგაზრდა კალათბურთელები კი სერბეთის დონის გრანდებთან პაექრობით დიდ გამოცდილებას იძენენ.

ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების პროცესი

ქუთაისის სპორტის სასახლეში ჭაბუკ მოკრივეთა შორის საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. ჩემპიონები და პრიზიორები 13 წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. ორთაბრძოლებს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **შალვა გოგოლაძე** და კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი დავით წიკლაური ესწრებოდნენ.

ტურნირი, რომელშიც ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები მონაწილეობდნენ, 3 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები, რომელიც თბილისში გასამართ ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

გასულ წელს, თბილისმა მოსწავლე მოკრივეთა შორის ევროპირველობას უმასპინძლა. ჩემპიონატმა კრივის საერთაშორისო ფედერაციისგან უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, რის შემდეგაც გადაწყდა, რომ ჭაბუკ მოკრივეთა შორის ევროპის 2020 წლის ჩემპიონატი, ივლისში, სწორედ საქართველოს დედაქალაქში ჩატარდება.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ᲙᲘᲠᲘᲚᲔ ᲖᲓᲐᲜᲔᲕᲘᲩᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲔᲞᲝᲥᲐ

ბაია გალერეაში მიმდინარეობს გამოფენა „კირილე ზდანევიჩი და მისი ეპოქა“, რომელიც, გალერეის პროექტის „კოლექციონერის“ ფარგლებში, წარმოგიდგენთ კირილე ზდანევიჩის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, პეტრე ოცხელის, შალვა ქიქოძის, ქეთევან მაღალაშვილის, სერგო ქობულაძის, ვალერიან სიდამონერისთავის, ვასილ შუხაევის, ირინა შტენბერგის, კორნელი სანაძის, ემა ლალაევა-ედიბერიძისა და ოსკარ შმერლინგის ნამუშევრებს.

„ამჯერად წარმოგიდგენთ მე-20 საუკუნის ქართულ ხელოვნებას კერძო კოლექციებიდან – კირილე ზდანევიჩის შემოქმედების პრიორიტეტით. მხატვრის, რომლის პერსონა და შემოქმედება დაკავშირებულია როგორც ლოკალურ და ნაციონალურ, ისე ინტერნაციონალურ და ავანგარდულ მხატვრულ სისტემებთან, ნიკო ფიროსმანის აღმოჩენასთან და მრავალ ნოვატორულ კულტურულ ინიციატივასთან. ის იყო „ტფილისური ავანგარდის“ და ფუტურისტული მოძრაობის სულისჩამდგმელი, ქართულ მხატვრობაში ევროპული მიმდინარეობების ერთ-ერთი შემომტანი, რომლის გავლენა და მნიშვნელობა მე-20 საუკუნის ქართული მხატვრობის თანმდევ მოვლენად იქცა.

გამოფენა „კირილე ზდანევიჩი და მისი ეპოქა“ ამ მოვლენის პრეზენტაციის მაგალითს წარმოგვიდგენს იმ საინტერესო და უცნობი მასალის მიხედვით, რაც საქართველოს და უცხოეთის კერძო კოლექციებში მოვიძიეთ.“ – ბაია წიქორიძე.

კირილ ზდანევიჩი დაიბადა 1892 წელს კოჯორში, საქართველოში. 1918 წელს დაამთავრა პეტერბურგის სამხატვრო აკადემია. ფერწერას სწავლობდა თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგსა და პარიზში. 1923 წლიდან გატაცებული იყო თეატრალურ-დეკორატიული ფერწერით.

პოლონური წარმოშობის ქართველი მხატვარი ფუტურისტი, მოდერნისტული ხელოვნების, კერძოდ „თბილისური ავანგარდის“ მნიშვნელოვანი წარმომადგენელი და ჯგუფის „41°“ წევრი იყო. ლადო გუდიაშვილთან, ალექსეი პეტროკოვსკისთან, იური დეგენთან და ილია ზდანევიჩთან ერთად, იგი „ფანტასტიკური სამიკიტნოს“ მოხატვაში მონაწილეობდა, ასევე, მუშაობდა არტისტული კაფე „არგონავტების ნავის“ მოხატვაზეც. იგი აქტიურად მოღვაწეობდა, როგორც წიგნების ილუსტრატორი, თეორეტიკოსი, ხელოვნების მკვლევარი, ფუძემდებელია მიმდინარეობის „საორკესტრო ფერწერა“.

კირილ ზდანევიჩი, 1923 წლიდან, კოტე მარჯანიშვილის მიწვევით, რუსთაველის თეატრში მუშაობდა; 1928-1930 წლებში – მოსკოვის მ. ფორეგერის თეატრში. მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული სცენოგრაფიის განვითარებაში და იმ რეფორმატორულ ცვლილებებში, რომლებიც კოტე მარჯანიშვილმა განახორციელა. მხატვრისა და მისი ძმის, ილია ზდანევიჩის, უდიდესი დამსახურებაა ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების აღმოჩენა-პოპულარიზაცია.

კირილ ზდანევიჩის შემოქმედება, ახალი ქართული ხელოვნების ისტორიაში, საქართველოს ისტორიის ძალზე საინტერესო და დრამატულ პერიოდს დაემთხვა, რაც მის ცხოვრებაზეც აისახა – 1949 წელს მხატვარი რეპრესირებულ იქნა და 8 წელი გადასახლებაში იმყოფებოდა ვორკუტაში. 1957 წელს, განთავისუფლების შემდეგ, თბილისში დაბრუნდა. 1963 წელს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. კირილ ზდანევიჩი 1969 წელს გარდაიცვალა, დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

გამოფენა „კირილე ზდანევიჩი და მისი ეპოქა“ ბაია გალერეაში 3 მარტამდე გაგრძელდება.



გამოფენილია „ქართული ბერანული“ მთავაზობთ



თემაზე ვასაძე ქართული აბიბგრაფიული პროზა ლიტერატურის მეცნიერებათა

ᲬᲘᲒᲜᲘ I
V-XVIII სს
მწერლობა

ᲬᲘᲒᲜᲘ II
XIX საუკუნის
მწერლობა

ᲬᲘᲒᲜᲘ II
XIX საუკუნის
მწერლობა

ᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲗᲘᲗᲝ ᲢᲝᲛᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ – 13 ᲚᲐᲠᲘ

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲒᲐᲓᲛᲝᲠᲘᲪᲮᲔᲗ ᲠᲔᲙᲕᲘᲖᲘᲢᲔᲑᲖᲔ:
ᲛᲘᲛᲓᲚᲔᲑᲘ – ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ᲚᲘᲑᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ“,
ბ/კ LBRTGE22
ᲨᲔᲥᲔᲜᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲕᲘᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ:
ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲙ. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. №126, ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ II, ᲝᲗᲐᲮᲘ №7-8
ᲢᲔᲚ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲠᲔᲙᲕᲘᲖᲘᲢᲔᲑᲘ: ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲐᲜᲙᲘ“ ბ/კ BAGAGE22,

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐᲗ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ᲤᲐᲡᲘ – 2 ᲚᲐᲠᲘ